

**International Federation of Library Associations and Institutions
Universal Bibliographic Control and International MARC Programme**

UBCIM Publications – New Series Vol 3

**ISBD(A)
International Standard Bibliographic Description for
Older Monographic Publications (Antiquarian).**

Second revised edition

**Recommended by the Project Group on the International Standard Bibliographic
Description for Older Monographic Publications (Antiquarian).**

**Approved by the Standing Committees of the IFLA Section on Cataloguing and the
IFLA Section on Rare Books and Manuscripts.**

**K. G. Saur
Munich . London . New York . Paris 1991**

Edited by Marie-France Plassard

**Translated into Georgian by
Avtandil Chkhenkeli**

**Library Automation Association in Georgia
Tbilisi 2000**

საბიბლიოთეკო ასოციაციების და ორგანიზაციების საერთაშორისო ფედერაცია
(I F L A)

საყოველთაო ბიბლიოგრაფიული აღრიცხვისა და საერთაშორისო
კომპიუტერული კატალოგიზაციის პროგრამა (U B C I M)

UBCIM-ის გამოცემები – ახალი სერია ტომი 3

I S B D (A)

უძველესი წიგნების (ანტიკვარული წიგნების)
საერთაშორისო სტანდარტული ბიბლიოგრაფიული აღწერილობა
მეორე შესწორებული გამოცემა

რეკომენდებულია უძველესი წიგნების (ანტიკვარული წიგნების)
საერთაშორისო სტანდარტული ბიბლიოგრაფიული აღწერილობის საპროექტო
ჯგუფის მიერ

მოწონებულია IFLA-ს საკატალოგიზაციო კომიტეტისა და იშვიათი წიგნებისა და
ხელნაწერების IFLA-ს მუდმივმოქმედი კომიტეტების მიერ

რედაქტორი მარი-ფრანს პლასარი

კ.გ.საური
მიუნხენი ლონდონი ნიუ-იორკი პარიზი 1991

ინგლისურიდან თარგმნა
ავთანდილ ჩხენკელმა

ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის ასოციაცია საქართველოში
თბილისი 2000

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი;
წინასწარი შენიშვნები;
სფერო, მიზანი და გამოყენება;
განსაზღვრებანი;
ISBD(G)-ს და ISBD(A) –ს შედარებითი სქემა;
პუნქტუაცია;
ინფორმაციის წყაროები;
აღწერილობის ენა და დამწერლობის სისტემა;
შემოკლებები და აბრევიატურა;
დიდი ასოებით წერა (კაპიტალიზაცია);
მაგალითები;
ბეჭდვის შეცდომები;
სიმბოლოები და ა.შ.;
ნაკლი;
ელემენტების სპეციფიკაცია;
1 სათაურისა და პასუხისმგებლობის ცნობის შესახებ სფერო;
2 გამოცემის სფერო;
3 მასალის (ან პუბლიკაციის სახეობის) დამახასიათებელი სფერო;
4 გამოქვეყნების, დაბეჭდვის ან გავრცელების და ა.შ. სფერო;
5 ფიზიკური აღწერილობის სფერო;
6 სერიების სფერო;
7 შენიშვნების სფერო;
8 ფინგერპრინტის სფერო;
დამატება;
ა.მრავალდონიანი აღწერილობა;
ბ. ორმხრივი მიმართულების ჩანაწერები;
გ. მაგალითები;
ინდექსი.

შესავალი

საერთაშორისო სტანდარტული ბიბლიოგრაფიული აღწერილობა International Standard Bibliographic Discription შეიქმნა კატალოგიზატორ ექსპერტების საერთაშორისო შეხვედრაზე მიღებული რეზოლუციის შედეგად. შეხვედრა ორგანიზებული იყო IFLA -ს საკატალოგო კომიტეტის მიერ კოპენჰაგენში 1969 წელს ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შინაარსისა და ფორმის სტანდარტების დასადგენად. მონოგრაფიული გამოცემების საერთაშორისო სტანდარტული ბიბლიოგრაფიული აღწერილობა იყო პირველი ISBD-თაგან, რომელიც შეიქმნა თანახმად 1969 წლის მანდატისა. ISBD(M)-ის პირველი ტექსტი გამოქვეყნდა 1971 წელს რეკომენდაციების კრებულის სახით. 1973 წლისათვის ეს ტექსტი მიღებულ იქნა მთელ რიგ ეროვნულ ბიბლიოგრაფიებში, ითარგმნა ინგლისურიდან სხვადასხვა ენებზე და მთელმა რიგმა საკატალოგო კომიტეტებმა ამ ტექსტის გათვალისწინებით თავიდან შეადგინეს პროექტები ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ეროვნული წესებისათვის. ამ დროისათვის დამტკიცებული იყო აგრეთვე , რომ უძველესი წიგნები წარმოშობენ სპეციალურ პრობლემებს, რომლებიც არაადექვატურად აისახება ISBD(M)-ში. ამგვარად, როდესაც გამოქვეყნდა ISBD(M)-ის “პირველი სტანდარტული გამოცემა” 1974 წელს, მასში მოცემული იყო შემდეგი წინადადება “ISBD(M)-ის უპირველესი ინტერესს წარმოადგენს მიმდინარე გამოცემები. ამიტომაც არის, რომ არ ხდება უძველესი წიგნების სპეციალური პრობლემების გათვალისწინება.”

პირველი ნაბიჯი სპეციალურად მიმართული უძველესი წიგნებისკენ გადაიდგა 1975 წელს, როდესაც საბიბლიოთეკო ასოციაციების და ორგანიზაციების საერთაშორისო ფედერაციის იშვიათი და ძვირფასი წიგნებისა და დოკუმენტების კომიტეტმა (ამჟამად განსაზღვრული როგორც სექცია) ჩამოაყალიბა სამუშაო ჯგუფი ISBD(A)-ს პროექტის შესამუშავებლად. A – ში იგულისხმება “ანტიკვარი”, “ალტ” და სხვ. შემდგომი ნაბიჯი გადაიდგა იგივე საკითხის ხელმეორედ შეფასების მიზნით: სამუშაო ჯგუფმა, რომელიც წარმოადგენდა საბიბლიოთეკო ასოციაციების და ორგანიზაციების საერთაშორისო ფედერაციის იშვიათი წიგნებისა და კატალოგიზირების სექციებს, შეიკრიბა იმის განსახილველად, თუ რამდენად აკმაყოფილებდა უძველესი წიგნების აღწერას ISBD(M)- ის დებულებები; ან თუ როგორი აუცილებელი შეთანხმებები იქნებოდა დასამატებელი გადამუშავებულ ISBD(M)- ში როგორც სქოლიოები ან ალტერნატიული წესები; ან საჭირო იყო თუ არა ცალკე ISBD(A)-ს შემუშავება. ყოველმხრივი განხილვის შედეგად მიღწეული დასკვნა გამოყოფილად ISBD(A)-ს შექმნის გარანტიას იძლეოდა და მუშაობაც ამ მიმართულებით წარიმართა 1977 წლამდე, სანამ 1980 წელს არ გამოქვეყნდა ISBD(A)-ს პირველი გამოცემა.

პირველი გამოცემის შესავალი ამართლებდა ISBD(M) საგან ISBD(A)-ს გამოყოფას, ამახვილებდა რა ყურადღებას უძველესი წიგნების სპეციალურ მოთხოვნებზე. შემდეგ აშუქებდა, თუ როგორ გადაიჭრა ეს მოთხოვნები ISBD(A)-ს საშუალებით. აღნიშნული შესავალი კომენტარს აკეთებს აგრეთვე როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ISBD(A). ეს ტექსტი აქ მოყვანილია სიტყვასიტყვით:

სამართლიანად იბადება კითხვა ქმნიან თუ არა გარკვეული წიგნები უბრალოდ მათი სიძველის გამო ისეთ პრობლემებს, რომლებიც არ გვხვდება სხვა წიგნების შემთხვევაში. ISBD ოჯახს აქვს შესაძლებლობა აღწერილობის ფორმულირებისა ნებისმიერი მასალის მონაცემთა ფაილებიდან ექსპონატებით დამთავრებული, ენციკლოპედიებიდან ცალკეული ფურცლების ჩათვლით. რატომ უნდა იყოს ერთი გარემოს ზოგიერთი განსაზღვრული ერთეული, როგორცაა ნაბეჭდი სიტყვა მაგალითად, განხილული ღირსად სპეციალური დამუშავებისა? პასუხი, რომელიც სამუშაო ჯგუფს შეუძლია მისცეს შემდეგია – მიზანი უძველესი წიგნების აღწერილობის ფორმულირებისა ჩვეულებრივ განსხვავებულია პროფესიულ ჩვევებზე დაყრდნობილ მიმდინარე ინფორმაციის ჩაწერისაგან. ბიბლიოგრაფიული აღწერილობის სტრუქტურა განსაკუთრებით სასარგებლოა მომხმარებლის მიერ პასუხისმგებლობის ხარისხის, გამოცემის ნომრის და ავტორის შესახებ ძირითადი ცნობების დასადგენად, განსაკუთრებით თუ აღწერილობა არის კატალოგიზატორისთვის (ან მომხმარებლისთვის) უცხო ენაზე. მომხმარებელი ეძებს ამოსაცნობ აღწერილობას მოსალოდნელ ფორმაში დოკუმენტისთვის საძიებელი ავტორით ან საძიებელი თემით. სხვა მხრივ, ბიბლიოთეკების უმრავლესობაში, უძველესი წიგნები განიხილება როგორც უძველესი მატერიალური კულტურის ნაშთი, რომლებიც აღსაწერია განსაზღვრული გზით, იმისათვის რომ შევძლოთ შედარების გზით მისი განსხვავება მოცემული შრომის სხვა ასლებისა და გამოცემებისაგან. იშვიათი წიგნის ბიბლიოთეკარის მიზანს წარმოადგენს არა მარტო ანტიკვარიატის აღწერილობა, არამედ უფრო მნიშვნელოვანია ნათელის მოფენა ტექსტის გადაცემაზე და იმ “წერტილებზე” რომლებითაც განსხვავდება გამოცემები. კატალოგის, განსაკუთრებით კი საერთო კატალოგის საზღვრებში, მას რასაკვირველია არ შეუძლია მიმართოს სატიტულე ფურცლის გადაწერას და არც შემთხვევითობებზე გაამახვილოს ყურადღება- ეს ლიტერატურის ბიბლიოგრაფების საქმეა. მაგრამ კატალოგის საზღვრებში ამგვარი აღწერილობები ითხოვენ განსაკუთრებულ ყურადღებას იმისთვის, რომ გაკეთდეს დეტალურად ზუსტი ჩაწერა ორ სფეროში – სათაურის და ბეჭდილობითი ცნობების სფეროში და მოგვცეს ზუსტი ცნობები შრომის როგორც გამოცემის, მოცულობის შესახებ.

სწორედ ამ სფეროებში ხელით ნაბეჭდი წიგნები აჩვენებენ განსხვავებულ ნიშანთვისებებს, რომლებიც დასავლეთ ევროპაში უკიდურეს შემთხვევაში 1820-დან ნაკლებად გასარჩევი გახდა, როდესაც ბეჭდვის მანქანურმა პროცესებმა წიგნის დამზადების ხერხები ნაკლებ არსებითი გახადა და გამოიწვია რევოლუცია წიგნებით ვაჭრობაში. შესაბამისად ISBD (A) განსხვავდება დეტალებში, მაგრამ არა პრინციპში, ISBD (M) –დან ძირითადად სამ სფეროში სათაურის, ბეჭდილობითი ცნობების სფეროში, და რაოდენობითი მახასიათებლების სფეროში.

პირველად ავიღოთ სათაური: თანამედროვე სატიტულე გვერდს, არქაულიდან განსხვავებით არ აქვს ტენდენცია მისცეს წიგნს სათაური და ავტორის ვინაობა მოკლედ რამდენადაც ეს შესაძლებელია, გამოიყენებს რა ასოებისთვის სამყოფ ადგილს. ამგვარ სატიტულე ფურცლებს არავითარ შემთხვევაში არაფერი აქვს საერთო ადრინდელ წიგნებთან, მაგრამ მათი უმრავლესობა მთლიანობაში განიცდის ან სატიტულე ფურცლების უქონლობას, მაგალითად ინკუნაბულა, რომელიც დამწერლობის ტრადიციებშია, ან უშვებს შრომის დეტალურ რეკლამას, მაგ., მეთვრამეტე საუკუნის პოლიტიკური პამფლეტები, რომ არაფერი ვთქვათ, ეფემერაზე და ერთფურცლიან მასალაზე. ამას გარდა ზუსტი გადაწერის მოთხოვნას, არა მხოლოდ სატიტულე ფურცლის ელემენტების რიგითი წყობის მიმართ, ზოგიერთ შემთხვევაში კი პუნქტუაციის მიმართაც (ალბათ არა კაპიტალიზაცია) შეეძლო გარკვეული კონფლიქტის გამოწვევა ISBD-ს დაწესებულ პუნქტუაციასა და სტრუქტურას შორის ან ფაქტიური და დადგენილი პუნქტუაციის მოუხერხებელი დუბლირება. ISBD (A) ცდილობს ფორმულირების დაცვას სატიტულე ფურცლის ან მისი შემცველის წყობაში მხოლოდ მცირე გამონაკლისით: ზუსტი პუნქტუაცია შეიძლება აღმოჩნდეს რომ საჭიროა ზოგ კატალოგებში და ზოგიერთი აღწერის ერთეულისთვის, მაგრამ დასაშვებია არჩევანის გაკეთებაც.

ბეჭდილობითი ცნობების სფეროში მბეჭდავის, წიგნების გამყიდველის და გამომცემლის ურთიერთკავშირი იმდენად გაურკვეველია, რომ შეიძლება უფრო ადვილი იყოს ბეჭდილობითი ცნობების სრული გადაწერა ისევე როგორც გვხვდება არა მხოლოდ სიზუსტისთვის არამედ, რომ გავექცეთ სუბიექტური აზრს: არ შეიძლება არ გაითვალისწინო ბეჭდილობითი ცნობების ელემენტების გამოყენება გამომცემლებისა და გამოცემის ადგილების დასადგენად როდესაც ისინი შეიძლება გვხვდებოდნენ მრავალნაირი ფორმით. ISBD(A)-ში, პუბლიკაციის გამოცემის ადგილის ცნება შენარჩუნებულია და ის მიმაგრებულია ბეჭდილობითი ცნობების სფეროს დასაწყისში.

რაოდენობითი მახასიათებლების სფერო უნდა მიუთითებდეს ფურცლების რაოდენობაზე იდეალურ ასლში – უძველეს წიგნებში ყველა ფურცელია მნიშვნელოვანი გარდა ცარიელისა-და,

წიგნებისთვის რომლებიც მოღწეულია იმ დროიდან, როდესაც არ არსებობდა საგამომცემლო აკინძვა და რომლებმაც განიცადეს მრავალი განმეორებითი ბიბლიოთეკური აკინძვა, ბიბლიოგრაფიული ფორმატი არსებითია. ფინგერპრინტს, როგორც პოტენციალურ უნიკალურ იდენტიფიკატორს, მიეცა ISBN-ის ადგილი უძველესი წიგნებისთვის.

უნდა ითქვას, რომ სამუშაო ჯგუფის ერთი წევრის შეხედულებით ISBD (A)-ს საჭიროება არ არის დამტკიცებული, და რომ ISBD(M) დაკავშირებული გარკვეულ უნიკალურ იდენტიფიკატორს ISBN –ის ან “ფინგერპრინტის” მსგავსს, უფრო დამაკმაყოფილებელი იქნებოდა საერთო ხმარებისთვის. სხვა მხრივ, მეორე წევრის აზრით ISBD-ს ელემენტების ნორმალური წყობა სათაურში გამოიწვევს დაუშვებელ ხარვეზებს სატიტულე ფურცლის სქემაში. იყო ცდა ამ ორი შეხედულების გარკვეულად დაახლოებისა, მაგრამ ამ სპექტში მათი წინააღმდეგობის გამო არსებობს კომპრომისი, აღწერილობის შეთავსებული სტრუქტურის სხვადასხვა სიზუსტით გამოყენებისა ბარათზე და სრულ ბიბლიოგრაფიულ აღწერილობას შორის.

ISBD (A) დადგენილია უძველესი წიგნების აღწერილობების უზრუნველსაყოფად საერთო კატალოგებში, ბიბლიოგრაფიებსა და მონაცემთა ბაზებში, დაახლოებით ტოლი დეტალების ჩანაწერებით ყველა პერიოდის წიგნებისა და სხვა საბიბლიოთეკო მასალებისთვის, და იყო განვითარებული ISBD(G) ანოტირებული ტექსტისა და მისი სტრუქტურის გათვალისწინებით. ამიტომ ეს არ არის უძველესი წიგნების სრული ბიბლიოგრაფიული აღწერილობის წესების სიმრავლე, და არც არის წარმოდგენილი როგორც საბოლოო ტექსტი სპეციალურ ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიებისთვის გამოსაყენებლად. ISBD (A)-ში მოცემულია რამდენიმე არჩევანი დეტალების განსახილველად ისეთი ერთეულებისთვის როგორებიც არიან პუნქტუაცია, ბეჭდილობითი ცნობები, რაოდენობრივი დახასიათების სფერო და შენიშვნები. აღიარებულია, რომ ყოველ ბიბლიოგრაფიულ და კატალოგიზირების სააგენტოს ექნებათ პრაგმატული მიზეზები საკუთარი არჩევანის გაკეთებისა და რომ საერთაშორისო გაცვლისთვის გათვალისწინებული ჩანაწერები უნდა განიხილებოდეს კრიტიკულად იმ არჩევანის ფონზე რომ უნდა გამოყენებული იყვნენ როგორც მსგავსი წიგნების ჩანაწერები სხვა კოლექციებში. ოღონდ, უძველესი მასალებისთვის, “დუპლიკატის დუპლიკატი”, ფ.მადანის ციტირებით, ყოველთვის იყო პრობლემა და სტანდარტიზაციის არავითარ დონეს არ შეუძლია გააქარწყლოს ბიბლიოგრაფის ყველა ეჭვი.

მაგალითების ძიებისას (ხშირად უნაყოფოდ) ყველა ჩვენგანმა აგრეთვე იცოდა, რომ უძველესი წიგნები წარმოშობენ მეტ პრობლემებს ვიდრე შეიძლება გამოიწვიოს სხვა წიგნებმა რომელთა

ტექსტიც მიუღებლად გრძელი და რთულია და მარტო ამით არ ამოიწურება ყველაფერი: ისეთი აღსაწერი ერთეულების მიმართ, რომლებიც ეტყობა არ ემორჩილება არანაირ წესებს,

მე შემიძლია შემოგთავაზოთ მხოლოდ რჩევა იმოქმედოთ ISBD (A)-ს სულისკვეთებით და დაეყრდნოთ სად აზრს. უძველესი წიგნების საკატალოგო ბარათები უცილობლივ ყოველთვის წარმოადგენდა კომპრომისს სრულ ბიბლიოგრაფიულ აღწერილობასა და სამიებელი სიის მიდგომას შორის, ამ დროს ერთის მხრივ, საერთო კატალოგს არ შეუძლია დეტალური თანადობა პირველთან, სანამ, მეორე მხრივ სრული აღწერილობები შესაძლებელია არასდროს იყოს გაკეთებული რაღაც ერთეულებისთვის, რომელთა უმრავლესობა გვიჩვენებს უნიკალურ მახასიათებლებს, რომლებიც იდენტიფიცირებას უკეთებენ მათ, როგორც მოცემული გამოცემის ეგზემპლარებს, და ა.შ. და ამიტომაც ისინი უნდა ღებულობდნენ უფრო მეტს ვიდრე ზოგადი დამუშავებისას. არ შეიძლება არ იყოს აგრეთვე დაბეჯითებით ხაზგასმული, რომ სხვადასხვა ბიბლიოთეკებსა და კატალოგებს შეიძლება ჰქონდეთ სურვილი გამოიყენონ ISBD(A)-ს პირობები სხვადასხვა სფეროების მიმართ და შეუძლიათ აირჩიონ მეტი ან ნაკლები დეტალები მათი კატალოგების მიზნების შესაბამისად: ოღონდ ასეთი პოლიტიკის და მეთოდების გატარება უნდა აღნიშნული იყოს კატალოგის შენიშვნებში ან ინდივიდუალურ ჩანაწერებში.

1980წ. ISBD(A)-ს პირველ გამოქვეყნებამდე, IFLA -ს მსოფლიო კონგრესის შეხვედრების დროს, ბრიუსელში (აგვისტო 1077), IFLA -ს საკატალოგიზაციო სექციის მუდმივმოქმედმა კომისიამ მიიღო ახალი გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხებოდა IFLA-ს პროგრამას ISBD-ების შესახებ. შეთანხმდნენ, რომ ყველა ISBD-ს ტექსტი 5 წლის განმავლობაში იქნებოდა გამოიყენებული შეუცვლელად, რომლის შემდგომ გაკეთდებოდა ყველა ან ცალკეული ტექსტის გადასინჯვა. ამ გადაწყვეტილების შედეგად IFLA-ს მიერ შეიქმნა ISBD-ების გადასინჯვის კომიტეტი, რომლის პირველი შეხვედრა მოეწყო ლონდონში 1981 წლის 10-11 აგვისტოს. შემუშავებულ იქნა გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა გადაეხედათ და შეესწორებინათ ოთხი ISBD: ISBD(CM), ISBD(NBM), ISBD(S), ISBD(M), შემდეგი ოთხი მიზნით:

1. ფორმულირებების ნათელყოფა და განსაზღვრებებში და პირობებში თავსებადობის მიღწევა
2. ISBD-ების მორგება არა-ლათინური დამწერლობებისათვის
3. ტოლობის ნიშნის გამოყენების გადასინჯვა
4. უფრო მეტი და უკეთესი მაგალითების ჩართვა

დასაწყისში ISBD (A) რჩებოდა ყურადღების გარეშე, სანამ 1985 წლის ბოლოს არ შეიკრიბა ახალი სამუშაო ჯგუფი რათა ის აუცილებლად გადაემუშავებინათ.

ISBDს გადასინჯვის კომიტეტის და განსაკუთრებით ISBD (M) სამუშაო ჯგუფის შრომამ მისცა ISBD (A) სამუშაო ჯგუფს მყარი საფუძველი იმის განსახილველად იყო თუ არა აუცილებელი

ცვლილებების შეტანა ფორმულირებებში და შეთანხმებებში და უნდა იყოს თუ არა ISBD (A)-ს სპეციალური შეთანხმებები უგულებელყოფილი იმიტომ, რომ ისინი ISBD-ს ძირითად ტენდენციებში შესატანად იქნა დადგენილი, როგორც არც თუ განსაკუთრებით სპეციალური. აგრეთვე განსახილველი იყო ISBD (A)-ს პირველი გამოცემის გამოცდილებასთან დაკავშირებული საკითხი.

პროსპექტი, რომელიც შეიცავდა გარკვეულ საკითხებს, რომლებიც წამოიჭრა ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში და სხვაგან მისი რეალიზაციის დროს და აგრეთვე სხვა კომენტარები და წინადადებები დაეგზავნა დაინტერესებულ მხარეებს 1986 წელს, და შედეგების დასკვნები გავრცელდა 1987 წლის აგვისტოში.

საერთოდ, ახალი გამოცემა აგრძელებს პირველის სპეციალურ ნიშნებს სათაურის ზუსტი ჩაწერის მოსაძებნად, მისდევს რა სატიტულე ფურცლის წყობას სადაც კი შესაძლებელია და ნებას რთავს გაკეთებული იყოს არჩევანი უამრავ დადგენილებათა დასან ფაქტიურ პუნქტუაციას შორის. ოღონდ მისი ფორმულირებები მიისწრაფიან სხვა ISBD შესაბამისობისაკენ.

ფინგერპრინტი როგორც უნიკალური იდენტიფიკატორი უძველესი მასალისთვის არ იყო ISBN –ის მსგავსი იძულებითი ველი, თუმცა მისი ჩაწერის საქმე მოწესრიგდა, კორესპონდენტების უმრავლესობას არ ეჩვენებოდათ, რომ ეს იყო იდენტიფიცირების უნიკალური საშუალება და მისი სრულყოფილების გარანტი იყო ის დრო რაც იხარჯებოდა მისი გამოთვლისთვის

გადაშინჯული ISBD(A) ეფექტურად ამთავრებს გადამუშავების პროცესის ძირითად მიმართულებას, ე.ი., არა-ლათინური დამწერლობის და ენის პრობლემის გადაწყვეტას. იმ დროს როცა ყველა გადაშინჯული ტექსტი არჩევს აღმოსავლურ პუბლიკაციებს და მათ სპეციალურ პრობლემებს, ISBD(A) როგორც კერძო ISBD წიგნებზე გათვალისწინებული, საშუალებას იძლევა გამოყენებულ იყოს კოლოფონი, როგორც დაწესებული ინფორმაციის წყარო გამონაკლის შემთხვევებში, რომლებიც ჩვეულებრივ წარმოჩნდებიან აღმოსავლურ წიგნებში, აგრეთვე ზოგ ადრინდელ სატიტულე ფურცლის გარეშე გამოცემულ დასავლურ წიგნებში.

ISBD(A) შეიცავს ინდექსს და სამ დამატებას. პირველი დამატება გვთავაზობს მრავალ-დონიანი აღწერილობის სპეციალური ტექნიკის ზოგად სტანდარტიზებულ დაწესებულ ნორმებს. მეორე დამატება ასრულებს იმ ორიენტირის როლს, რომელიც ზემოთ არის ნახსენები რათა დააკმაყოფილონ მომხმარებლები არა-რომაულ დამწერლობის გამოცემებზე მუშაობის დროს: აქ ნაჩვენებია მონაცემების ჩაწერის მაგალითები და ხერხები, როდესაც მონაცემები უნდა იქნას გადაწერილი ნაწილობრივ მარჯვნიდან მარცხნივ დამწერლობის წესებით და ნაწილობრივ მარცხნიდან მარჯვნივ დამწერლობის წესებით.

ISBD(A)-ს ეს ახალი გამოცემა მიღებულია IFLA -ს საკატალოგო და იშვიათი და ძვირფასი წიგნების სექციის მიერ.

ვაშინგტონი ჯონ დ.ბაირემი, თავმჯდომარე

სექტემბერი 1990 ISBD-ის სარევიზიო კომისია

რიჩარდ ქრისტოფერს, თავმჯდომარე

ISBD(A)-ს სამუშაო ჯგუფი

0. წინასწარი შენიშვნები

0.1 მოქმედების საზღვრები, მიზანი, გამოყენება

0.1.1 მოქმედების საზღვრები

საერთაშორისო სტანდარტული ბიბლიოგრაფიული აღწერილობა უძველესი გამოცემებისათვის (ანტიკვარიატი) - შემდგომში მოხსენიებული როგორც ISBD(A) – განსაზღვრავს მოთხოვნილებებს აღნიშნული მასალის აღწერილობისა და იდენტიფიკაციისათვის, აწესებს აღწერილობის ელემენტთა თანმიმდევრობას და განსაზღვრავს აღწერილობის პუნქტუაციის სისტემას. მისი დებულებები, პირველ რიგში ეხება ეროვნული ბიბლიოგრაფიული სააგენტოების მიერ გამოცემულ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებს (როგორცაა ეროვნულ ბიბლიოგრაფიულ ბეჭდურ გამოცემებში, სხვა ბეჭდვით ჩანაწერებში და მათთან დაკავშირებულ მანქანა-საკითხავ კომპიუტერულ ფაილებში) ხოლო მეორე რიგში კი - სხვა საკატალოგიზაციო სააგენტოების მიერ შესრულებულ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებს, როგორც მანქანა-საკითხავ მატარებელზე, ასევე ნაბეჭდი სახით. (იმ შემთხვევაში როცა ბიბლიოგრაფიული მონაცემები ინახება მანქანა-საკითხავ მატარებელში, ISBD-ები აწესებენ შეთანხმებებს უფრო თვალთ საკითხავ ფორმებზე, როგორცაა გამოსახულება ეკრანზე ან ნაბეჭდი პროდუქცია და არა მანქანა-საკითხავ მატარებელში გამოყენებულ მონაცემთა სტრუქტურაზე).

უძველესი მონოგრაფიული პუბლიკაციები არიან ძირითადად ისინი, რომლებიც გამოიცა მეცხრამეტე საუკუნეში მანქანური ბეჭდვის შემოსვლამდე და განეკუთვნებოდა შემოსაზღვრულ არეში გავრცელებას ან მოთხოვნილების შემთხვევაში გაყიდვას. ISBD(A) შეიძლება გამოიყენებოდეს აგრეთვე უფრო გვიანდელი პუბლიკაციების აღწერილობებისთვის, რომლებიც აგრძელებენ ხელით ნაკეთები წიგნების ტრადიციებს.

ISBD(A) გამოქვეყნებულ ISBD-თაგან ერთერთია; სხვები მოიცავენ სერიალებს (ISBD(S)), არაწიგნად მასალებს (ISBD(NBM)), კარტოგრაფიულ მასალებს (ISBD(CF)) მონოგრაფიებს (ISBD(M)), მუსიკალურ ნოტებს (ISBD(PM)), და კომპიუტერულ ფაილებს (ISBD(CF)). ყოველი ISBD განკუთვნილია იმისათვის, რომ განახორციელოს კოჭერენტული პირობები მისთვის გამოყოფილი (ტიპის) პუბლიკაციებისთვის, მაგრამ არ იყო არავითარი მცდელობა გაეხადათ ნებისმიერი ISBD განსხვავებული სხვებისაგან. გარკვეულ შემთხვევებში მომხმარებლებმა უნდა მიმართონ რამოდენიმე ISBD-ს როდესაც აღსაწერი ერთეული გვიჩვენებს ისეთ მახასიათებლებს, რომლებიც აღწერილია სხვა ISBD-ში, როგორც მაგალითად, მონოგრაფია მიკროფილმში. ყველა ISBD-ები დაფუძნებულია ზოგად ISBD-ზე. (ISBD-(G)) იხილე შედარებითი სქემა 0.3-ში.

0.1.2 მიზანი

ISBD -ს უპირველესი მიზანია თავსებადი ბიბლიოგრაფიული აღწერილობის პირობების უზრუნველყოფა მთელს მსოფლიოში, რათა დაეხმაროს ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების საერთაშორისო გაცვლას როგორც ეროვნულ ბიბლიოგრაფიულ სააგენტოებს შორის, ასევე მთლიანად მთელს საერთაშორისო საინფორმაციო და საბიბლიოთეკო საზოგადოებაში. ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ელემენტების განსაზღვრით, იმ თანამიმდევრობისა და პუნქტუაციის დაწესებით, რომლის მიხედვითაც ეს ელემენტები უნდა იქნას წარმოდგენილი და გამოყოფილი ერთმანეთისაგან ჩანაწერში, ISBD-ების მიზანია: ა) გახადოს სხვადასხვა წარმოშობის ჩანაწერები გამოსადეგი ურთიერთგაცვლისათვის ისე, რომ ერთ ქვეყანაში შექმნილი ჩანაწერები ადვილად იქნას გამოყენებული სხვა ქვეყნის ბიბლიოთეკის კატალოგებში და ბიბლიოგრაფიულ ნუსხებში; ბ) ხელი შეუწყოს ჩანაწერების აღქმას მიუხედავად ენობრივი ბარიერისა, რათა ჩანაწერები შექმნილი ერთი ენის მომხმარებლისათვის ადვილად გასაგები

გახდეს სხვა ენის მომხმარებლისათვის; გ) დაეხმაროს ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების გადაყვანას (კონვერსიას) მანქანა-საკითხავ ფორმაში. ISBD(A) –ს სპეციალური მიზანი არის საკმაოდ ზუსტი ტრანსკრიფციის უზრუნველყოფა სატიტულო ფურცლებისთვის, და ა.შ. რათა მზად იყოს სხვადასხვა შრომებისა და სხვადასხვა გამოცემების განსაზღვრულ შრომასთან იდენტიფიცირებისთვის.

0.1.3.1 ISBD-ების ძირითადი გამოყენება

ISBD-ები უზრუნველყოფენ პირობებს აღწერილობისთვის საჭირო მაქსიმალური ინფორმაციის მისაღებად, რომელიც აუცილებელია ბიბლიოგრაფიული საქმიანობის ცალკეული სახეებისთვის და ამიტომ ისინი შეიცავენ ისეთ ელემენტებს, რომლებიც არსებითია რამდენიმე მათაგანისთვის მაგრამ არ არის აუცილებელი ყველასათვის.

რეკომენდირებულია, რომ ეროვნულმა ბიბლიოგრაფიულმა სააგენტოებმა ყოველ ქვეყანაში, რომელთაც აღებული აქვთ ამ ქვეყნის ყველა გამოცემის სრული და ზუსტი აღწერილობის შედგენის პასუხისმგებლობა, მოამზადონ სრული და ზუსტი აღწერილობა, რომელიც შეიცავს ყველა სავალდებულო ელემენტს, გათვალისწინებულს ISBD-ში იმ მოცულობით, რომლითაც ეს მონაცემები გამოყენებულია აღსაწერ გამოცემაში. ზოგიერთი ელემენტი განსაზღვრულია როგორც არა აუცილებელი და შესაბამისი ინფორმაცია შესაძლებელია გამოტოვებული ან ჩართული იყოს სააგენტოს შეხედულების მიხედვით.

სხვა საკატალოგო ორგანიზაციებს უფრო ფართო არჩევანი აქვთ, რადგან ისინი არ უზრუნველყოფენ სრულ და ზუსტ ჩანაწერებს საერთაშორისო გაცვლისათვის. მათ შეუძლიათ შეარჩიონ ISBD -ს სავალდებულო ან ფაკულტატური ელემენტები საკუთარ ჩანაწერებში ჩასართავად შესაფერი ISBD -ს მიერ დაწესებული თანმიმდევრობის და პუნქტუაციის უზრუნველყოფით.

ISBD -ს მიხედვით შექმნილი აღწერილობა წარმოადგენს სრული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ნაწილს და ჩვეულებრივ დამოუკიდებლად არ გამოიყენება. სხვა ფაქტორები, რომლებიც ქმნის სრულ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერს ისეთები, როგორცაა თავსათაური, საგნობრივი რუბრიკები, უნიფიცირებული სათაური, ბარათების და დამატებითი ბარათების განლაგების ნიშნები და წესები არ შედის ISBD-ს დებულებებში. ამ ფაქტორების წესები ჩვეულებრივ მოცემულია საკატალოგიზაციო განაწესში.

0.1.3.2 ISBD(A)-ს გამოყენება

უძველესი მონოგრაფიული გამოცემების შემთხვევაში ბიბლიოგრაფიული აღწერილობების განსაზღვრებების შექმნა ყოველთვის არ არის ეროვნული ბიბლიოგრაფიული სააგენტოების მოვალეობა. სხვა ბიბლიოგრაფიული სააგენტოები და დამოუკიდებელი მეცნიერებები კი დიდ როლს შეიძლება თამაშობდნენ.

აღწერილობის სტანდარტი შეიძლება იცვლებოდეს პუბლიკაციის თარიღისა ან მისი გამოცემის ადგილის მიხედვით. ოღონდ რეკომენდირებულია, რომ ბიბლიოგრაფიული სააგენტო, რომელიც იღებს პასუხისმგებლობას ჩანაწერის შექმნაზე მოამზადოს აღწერილობის განსაზღვრებები, რომლებიც შეიცავენ ყველა სავალდებულო ელემენტს ISBD (A)-დან რადგან ინფორმაცია გამოიყენება აღსაწერ პუბლიკაციაში.

როდესაც მოითხოვება უფრო დაწვრილებითი ჩანაწერები, მაგალითად, ინკუნაბულების კატალოგებისათვის ან უფრო სრული ბიბლიოგრაფიული აღწერილობებისთვის, ISBD (A)-ს პირობების უმრავლესობა შესაძლოა იყოს შეუსაბამო; და ანალოგიურად მოკლე

კატალოგებისთვის სათაურზე და საძიებო სიებისთვის და თანამედროვე სრულყოფილი ბეჭდვის აღწერისთვის, შეიძლება განხილულ იყოს ზოგიერთი პირობის გამოტოვება, ან მათი შეცვლა ამდაგვარებით ISBD (M)-დან; კატალოგიზირების ზოგიერთი სააგენტოები შესაძლოა აგრძელებდნენ უძველესი პუბლიკაციებისთვის ISBD (M) გამოყენებას, ანოტაციებით ან მათ გარეშე, დამატებითი დეტალების დამატებით ან არსებული ჩანაწერებისა და დამხმარე ISBD (M) შორის ვარიაციების აღწერით. ISBD(M)-ის ასეთი გამოყენება შესაძლებელია იყოს აგრეთვე გამოსადეგი როდესაც აღსაწერი ერთეული უნდა იყოს იდენტიფიცირებული ბიბლიოგრაფიული შენიშვნის საშუალებით.

ISBD (A) -ს ეხება ბიბლიოთეკაში დაცული მასალების სრულყოფილი ეგზემპლარების აღწერილობა, და არ აყენებს არავითარ პირობებს ისეთი სიტუაციებისთვის, როდესაც არ არსებობს არავითარი იდეალური ეგზემპლარი ან არასრულყოფილი ეგზემპლარის კატალოგიზირება ხდება სრულყოფილი მაგალითის ბიბლიოგრაფიული აღწერილობის დახმარების გარეშე. ყოველთვის, როცა კი შესაძლებელია, ნაპოვნი უნდა იქნეს სრულყოფილი მაგალითის აღწერილობა, და დეფექტები და სხვა განსაკუთრებული მახასიათებლები უნდა აღიწეროს შენიშვნებში, რომელიც დაკავშირებული იქნება ხელში მყოფ ეგზემპლართან. (იხილეთ 7.9). თუ კი შეუძლებელია სრულყოფილი ეგზემპლარის აღწერილობის მოძებნა, უნდა აღიწეროს არასრულყოფილი ეგზემპლარი (იხილეთ 0.12). ამ შემთხვევაში, ნაგულისხმებია, რომ მომზადებული აღწერილობა არ შეიძლება ეხებოდეს იგივე გამოცემის, გამოშვების ან საკორექტურო ამონაბეჭდის(State) ყველა ეგზემპლარს.

0.2 განსაზღვრებანი

ISBD(A)-ში გამოყენებული ტერმინების განსაზღვრებანი მოცემულია განსაკუთრებული მნიშვნელობით ან ერთი-ერთი ნიშვნელობით თუ საერთო ხმარებაში მას რამოდენიმე აზრი აქვს.

ISBD(A)-ს კონტექსტში გამოყენებული ზოგიერთი ტერმინის განსაზღვრება განსხვავდება იგივე ტერმინების განსაზღვრებებისაგან სხვა ISBD-ებში, განსაკუთრებით ISBD (M).

Accompanying material	თანმხლები მასალა	ნებისმიერი მასალა, რომელიც თან ახლავს აღსაწერი პუბლიკაციის ძირითად ნაწილს და განკუთვნილია მასთან ერთობლივი გამოყენებისათვის.
Accompanying material statement	ცნობები თანმხლები მასალის შესახებ	თანმხლები მასალის მოკლე აღწერა
Alternative title	ალტერნატიული სათაური	ძირითადი სათაურის მეორე ნაწილი. ძირითადი სათაური შედგება ორი ნაწილისაგან, (თითოეულ მათგანს აქვს სათაურის ფორმა) რომელიც დაკავშირებულია სიტყვით "ან", ან მისი ექვივალენტით სხვა ენაზე.
Area	სფერო	ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ძირითადი ნაწილი, რომელიც შეიცავს გარკვეული კატეგორიის ან რიგი კატეგორიების მონაცემებს.
Bibliographic	ბიბლიოგრაფიული	ბიბლიოგრაფიული მონაცემების ერთობლიობა

description	აღწერილობა	პუბლიკაციის აღწერის და იდენტიფიკაციისათვის.
Broadside	ფართოდ გასავრცელებელი ფურცელი	ცალკე გამოცემული ფურცელი ან მისი ნაწილი, რომელიც ნაბეჭდია მხოლოდ ცალ მხარეს და გამოიყენება გაშლილი სახით წასაკითხად; ჩვეულებრივ განკუთვნილია აგრეთვე ფართო გავრცელებისთვის, ან გასაყიდად, მაგ., პროკლამაცია, სარეკლამო ფურცელი, ცნობის ფურცელი.
Colophon	კოლოფონი	ცნობები რომლებიც მოთავსებულია გამოცემის ტექსტის ბოლოს და იძლევა ინფორმაციას მისი გამოცემის და დაბეჭდვის შესახებ და ზოგ შემთხვევებში სხვა ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციას. განსაკუთრებით მეთხუთმეტე საუკუნის წიგნებში კოლოფონში მოცემული ინფორმაციის ნახვა უფრო გვიანდელ წიგნებში ძირითადად შეიძლება სატიტულე გვერდზე
Common title	საერთო სათაური	სათაურის ის ნაწილი, რომელიც ახლავს ურთიერთდაკავშირებულ პუბლიკაციების ჯგუფს დამატებით მისი ცალკეული ნაწილების სათაურებისა. საერთო სათაური გამოიყენება აღნიშნული ურთიერთდაკავშირების მისანიშნებლად და ცალკეული ნაწილის სათაურთან ერთად მოცემული პუბლიკაციის საიდენტიფიკაციოდ. საერთო სათაური შეიძლება ასევე საერთო იყოს ძირითადი პუბლიკაციისათვის და მისი დამატებებისათვის, და ასევე მისი ძირითადი სერიებისა და ქვესერიებისათვის, როდესაც დამატებებსაც და ქვესერიებსაც გააჩნიათ დამოკიდებული სათაური.
Cover title	გარეკანის სათაური	პუბლიკაციის (ორიგინალის) გარეკანზე დაბეჭდილი სათაური.
Dependent title	დაქვემდებარებული სათაური	სათაური, რომელიც არ არის საკმარისი პუბლიკაციის იდენტიფიცირებისთვის და რომელიც დამატებით მოითხოვს საერთო სათაურს ან ძირითადი პუბლიკაციის სათაურს ან ძირითადი სერიების სათაურს. მის მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ ნაწილების სათაურები ზოგიერთი დამატებების სათაურები და ქვესერიების ზოგიერთი სათაურები.
Edition	გამოცემა	პუბლიკაციის ყველა ეგზემპლარი, რომელიც წარმოებულია არსებითად ერთი და იმავე ორიგინალიდან. უძველესი მონოგრაფიული გამოცემებისთვის პუბლიკაციის ყველა ეგზემპლარი, რომელიც დაბეჭდილია მოცემული საბეჭდი ფორმიდან ბეჭდვის პროცესში გაკეთებული ცვლილებების უგულვებელყოფით. იხილეთ ასევე ფაქსიმილური გადაბეჭვდა, გამოშვება, საკორექტურო ამონაბეჭდი, ვარიანტი)..
Edition statement	ცნობები გამოცემის შესახებ	სიტყვა, ფრაზა ან სიმბოლოების ჯგუფი, რომლებიც მიუთითებენ, რომ პუბლიკაცია მიეკუთვნება რომელიმე

Element	ელემენტი	გამოცემას, სიტყვა, ფრაზა ან სიმბოლოების ერთობლიობა, რომლებიც წარმოადგენენ ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის განსხვავებულ ერთეულს და შეადგენენ ბიბლიოგრაფიული აღწერილობის სფეროს ნაწილს.
Facsimile reprint	ფაქსიმილური გამოცემა	პუბლიკაციის ახალი გამოცემა, რომელიც სრულდება ორიგინალური გვერდების ზუსტი რეპროდუქციით. ეს კეთდება ჩვეულებრივ სხვადასხვა გამომცემლის მიერ ორიგინალიდან და აქვს საკუთარი სატიტულო გვერდი და სხვა შესავალი მასალა.
Fingerprint	ფინგერპრინტი#უგუი	სიმბოლოების ჯგუფი, რომლებიც აღებულია გამოცემიდან მისი უნიკალური იდენტიფიკაციისათვის; უფრო დაწვრილებით განმარტებულია 8.1.2.
Format	ფორმატი	პუბლიკაციის ფორმა, აღწერილი ტერმინებში რომელიც დაკავშირებულია ნაბეჭდი ფურცლების გადაკეცვის (ამის შემდეგ ფორმირდება პუბლიკაციის შემადგენელი ფურცლები) რიცხვთან. მაგ., ფოლიანტი (ერთჯერადი გაკეცვა ორი ფურცლის ფორმირებისთვის), კვატრო (ორჯერადი გაკეცვა ოთხი ფურცლის ფორმირებისთვის),
General material designation	მასალის ზოგადი განსაზღვრება	ტერმინი, რომელიც აღნიშნავს მასალათა იმ კლასს, რომელსაც მიეკუთვნება მოცემული პუბლიკაცია.
Illustration	ილუსტრაცია	პუბლიკაციაში მოთავსებული სქემატური, მხატვრული ან სხვა გრაფიკული გამოსახულება.
Impression	ერთ დროში ამონაბეჭდი ანასახი	გამოცემის ყველა ეგზემპლარი, წარმოებული დროის ერთ შუალედში ან ერთი ოპერაციით (იხილე აგრეთვე გამოშვება, საკორექტურო ამონაბეჭდი, ვარიანტი)
ISSN	ISSN (სერიალური გამოცემის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი)	რვანიშნა რიცხვი, რომელიც შეიცავს საკონტროლო ციფრს, რომელსაც წინ უძღვის ანბანური თავსართი. ISSN-ი საკვანძო სათაურთან ერთად ცალსახად ახდენს სერიალური გამოცემის სათაურის იდენტიფიცირებას. (იხ. ISDS სახელმძღვ. ნაწ. I). მისი მინიჭება ხდება სერიალური გამოცემების მონაცემთა საერთაშორისო სისტემის (ISDS) თანახმად და დაფუძნებულია ISO-ს სტანდარტზე: ISO 3297-1986.

Issue	გამოშვება	ერთ დროში ამონაბეჭდის ის ეგზემპლარები, რომლებიც შეადგენენ დაგეგმილ საპუბლიკაციო ერთეულს, რომლებიც განსხვავდება იგივე დროში ამონაბეჭდის სხვა ეგზემპლარებისაგან ერთი ან რამდენიმე ნიშნით (მაგ, ახალი სატიტულე გვერდი ან კოლოფონი, რომლებიც ცხადად უკეთებენ იდენტიფიცირებას ეგზემპლარებს როგორც დისკრეტულ ერთეულს) (იხილეთ აგრეთვე ერთ დროში ამონაბეჭდი, საკორექტურო ამონაბეჭდი, ვარიანტი)(2) სერიალის ერთი მიმდევრობითი ნაწილი; ტერმინი, რომელიც იხმარება მიმდევრობითი ნაწილების უმცირესი დონის განსაზღვრისთვის
Key title	საკვანძო სათაური	უნიკალური სახელწოდება, რომელიც ენიჭება სერიალურ გამოცემას, სერიალური გამოცემების მონაცემთა საერთაშორისო სისტემის (ISDS) მიერ და განუყოფლადაა დაკავშირებული თავის სერიალური გამოცემის საერთაშორისო სტანდარტულ ნომერთან (ISSN).
Main series	ძირითადი სერია	დანომრილი სერია, რომელიც შეიცავს ერთ ან მეტ ქვესერიას.
Monographic publication	მონოგრაფიული პუბლიკაცია	პუბლიკაცია, რომელიც მთლიანად დასრულებულია ერთ ან რამოდენიმე ნაწილში, ან უნდა დასრულდეს წინასწარ განსაზღვრული სასრული რაოდენობით ცალკეულ ნაწილებში.
Multi-level description	მრავალდონიანი აღწერილობა	ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედგენის მეთოდი ემყარება აღწერილობაში მოცემული ინფორმაციის დაყოფას ორ ან მეტ დონედ. პირველი დონე შეიცავს საერთო ინფორმაციას მთლიან ან ძირითად პუბლიკაციაზე. მეორე და შემდგომი დონეები კი შეიცავენ ინფორმაციას, დაკავშირებულს ცალკეულ ტომთან ან სხვა ერთეულთან.
Multi-volume publication	მრავალტომიანი პუბლიკაცია	მონოგრაფიული პუბლიკაცია, რომელიც შედგება სასრული რაოდენობის ფიზიკურად განცალკევებული ნაწილებისაგან. (განსხვავებით რვეულებისაგან ან გამოშვებებისაგან შემდგარი პუბლიკაციებისაგან), რომელიც ცნობილია ან გამოცემულია როგორც ერთი მთლიანობა. თითოეულ მის ნაწილს შეიძლება ჰქონდეს თავისი საკუთარი სათაურები და ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ.
Numbering	ნუმერაცია	სერიული გამოცემის თითოეული თანამიმდევრული გამოშვების იდენტიფიცირება. აღნიშვნა შეიძლება შეიცავდეს ნომერს, ასოს, სხვა ნებისმიერ სიმბოლოს ან მათ კომბინაციას და შესაბამის აღვნიშვნებს. (ტომი, ნომერაცია და ა.შ.) და/ან თარიღს.
Other title information	სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ	სიტყვა, ფრაზა ან სიმბოლოების ჯგუფი, რომელიც გვხვდება პუბლიკაციის ძირითად სათაურთან ერთად და ექვემდებარება მას. სხვა ცნობები სათაურის შესახებ ასევე

გვხვდება სხვა სათაურებთან (მაგ. პარალელური სათაურები, ცალკეულ ნაწარმოებთა სათაურები, პუბლიკაციების სათაურები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს სერიებისა და ქვესერიების შესახებ). ერთად და ექვემდებარება მათ. სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ განსაზღვრავს, ხსნის ან ავსებს სათაურს, რომელთაც ისინი მიეკუთვნებიან, ან მიუთითებენ გამოცემული პუბლიკაციის ხასიათზე, შინაარსზე და ა.შ. ან საფუძველზე. ეს ცნება შეიცავს ქვესათაურებს და ავანტიტრებს, მაგრამ არ შეიცავს ვარიანტულ სათაურებს (მაგ. ყუის სათაური), რომლებიც არიან პუბლიკაციაში, მაგრამ არ არიან სატიტულე გვერდზე ან მის შემცვლელზე.

Parallel edition statement	ცნობები პარალელური გამოცემის შესახებ	ცნობები გამოცემის შესახებ სხვა ენაზე და/ან სხვა დამწერლობაში.
Paralel title	პარალელური სათაური	ძირითადი სათაური (ან ცალკეულ ნაწარმოებთა სათაური, რომელსაც შეიცავს პუბლიკაცია, კოლექტიური ძირითადი სათაურის გარეშე), სხვა ენაზე და/ან სხვა დამწერლობაში; ან კიდევ სათაურს სხვა ენაზე და/ან დამწერლობაში, რომელიც წარმოდგენილია ძირითადი სათაურის ექვივალენტად. პარალელური სათაურები ძირითად სათაურთან ერთად გვხვდებიან აგრეთვე სერიისა და ქვესერიის შესახებ ცნობებში.
Plate	ილუსტრაცია ცალკე ფურცელზე	ფურცელი ილუსტრირებული მასალით, განმარტებითი ტექსტით ან მის გარეშე, რომელიც არ შედის გვერდების ან ფურცლების არც წინასწარ და არც ძირითად ნუმერაციაში.
Preliminaries	ტექსტის წინ პუბლიკაციის საწყისი გვერდები	პუბლიკაციის სატიტულე ფურცლები მის მეორე მხარესა და სხვა გვერდებთან ერთად, რომლებიც წინ უძღვიან სატიტულე გვერდებს. თუ გარეკანი სატიტულე ფურცლის შემცვლელია, მისი მეორე მხარე ასევე განიხილება პუბლიკაციის საწყის გვერდად.
Prescribed punctuation	დაწესებული პუნქტუაცია	ბიბლიოგრაფიული სააგენტოების მიერ დაწესებული პუნქტუაცია, რომელიც წინ უძღვის ან გამოყოფს ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ყოველი შემადგენელი ელემენტის (გარდა I სფეროს პირველი ელემენტისა) ან სფეროს ინფორმაციას.
Prescribed source of information	დაწესებული ინფორმაციის წყარო	წყარო ან წყაროები, რომლიდანაც მიიღება ინფორმაცია, ბიბლიოგრაფიული აღწერილობის თითოეულ ელემენტში ან სფეროში ჩასაწერად.

Publication	პუბლიკაცია	“პუბლიკაცია” ISBD (A)-ში შეიცავს ერთეულებს რომლებიც დაბეჭდილია მხოლოდ შემოსაზღვრულ წრეში გასავრცელებლად ან პირადი მიზნებისთვის
Section title	ნაწილის სათაური	სათაური, რომელიც ახასიათებს ნაწილს და ემსახურება საერთო სათაურის მქონე ერთმანეთთან დაკავშირებული სერიალური გამოცემების ჯგუფის ერთი ნაწილის გამორჩევას. სერიალის იდენტიფიკაციის მიზნით ნაწილის სათაური დამოკიდებულია საერთო სათაურზე იმისდა მიუხედავად განსხვავდებიან ისინი, თუ არა.
Series	სერია	ცალკეულ გამოცემათა ჯგუფი, რომლებიც ურთიერდაკავშირებულია იმით, რომ ყოველ პუბლიკაციას გარდა საკუთარი ძირითადი სათაურისა, გააჩნიათ კოლექტიური სათაური, რომელიც მიეკუთვნება მთელ ჯგუფს, როგორც ერთ მთლიანობას ე.ი. სერიის ძირითადი სათაური. ცალკეული პუბლიკაციები შეიძლება იყოს ან არ იყოს დანომრილი.
Series statement	ცნობები სერიის შესახებ	სერიის იდენტიფიცირების ძირითადი ელემენტები სერიაში შემავალი ცალკეული პუბლიკაციების ნუმერაციის ჩათვლით. იგი ასევე შეიცავს ცნობებს იმის შესახებ, რომ პუბლიკაცია შეადგენს მრავალტომიან გამოცემის ნაწილს. (იხ. ასევე ცნობები ქვესერიის შესახებ).
Signature	საგარანტიო წარწერა მესტამბეთა ანდერძი	ასოები(ები) და/ან სიმბოლო(ები) და/ან ციფრები, რომლებიც ჩვეულებრივ ჩაბეჭდილია პუბლიკაციის ყოველი ნაკრების პირველ და ზოგ მომდევნო რექტო გვერდების ძირში და გამოიყენება ეგზემპლარის კორექტული დაბეჭდვის, აკინძვის და შედგენის საგარანტიოდ.
Singl sheet publication	ერთადერთი ფურცლის პუბლიკაცია	ცალკე გამოცემა დაბეჭდილი ერთმაგი ან დაკეცილი ქაღალდის ან სხვა მასალის ფურცლის ერთ ან ორივე გვერდზე. ჩვეულებრივ, მისი კითხვა ხდება გაშლილი სახით, ფურცელი შეიძლება გამოშვებული იყოს დაკეცილი ფორმით.
Specific material designation	სპეციფიკური მასალის აღნიშვნა	ტერმინი მიუთითებს მასალის სპეციფიკურ კლასზე, რომელსაც განეკუთვნება პუბლიკაცია.
State	საკორექტურო პუბლიკაცია	პუბლიკაციის შიგნით სახესხვაობა, რომელიც მას განასხვავებს იმავე დროს ამონაბეჭდის ან გამოშვების სხვა ეგზემპლარებისაგან, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში არ გამოჰყვამომცემელმა როგორც ცდა დისკრეტული გამოცემის გამოსახვისა.
Statement of responsibility	ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ	სახელები, ფრაზები ან სიმბოლოების ჯგუფები, რომლებიც დაკავშირებულია ნაწარმოების შექმნაზე, ასევე მისი ინტელექტუალური ან მხატვრული შინაარსის შექმნასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის ან

		<p>კოლექტივ(ებ)ის იდენტიფიკაციასთან და/ან მის ფუნქციასთან. ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ შეიძლება გვხვდებოდეს სათაურებთან კავშირში(მაგ. ძირითად სათაურთან, პარალელურ სათაურებთან, პუბლიკაციაში შემავალ ცალკეულ ნაწარმოებთან სათაურებთან; სათაურებთან, რომლებიც შეიცავენ ცნობებს სერიებისა და ქვესერიების შესახებ), ან ცნობებთან გამოცემის შესახებ.</p>
Sub series designation	ქვესერია	<p>სერია, რომელიც წარმოადგენს დანომრილი სერიის (ძირითადი სერიის) ნაწილს. ქვესერიას შეიძლება ჰქონდეს ან არ ჰქონდეს ძირითად სერიაზე დაქვემდებარებული სათაური. (იხ. აგრეთვე საერთო სათაური, დაქვემდებარებული სათაური).</p>
Sub-series statement	ქვესერიის აღნიშვნა	<p>სიტყვა, ასო ან ნომერი, ან მათი კომბინაცია, რომელიც მოსდევს ძირითადი სერიის სათაურს და შეიძლება იწერებოდეს დამოუკიდებლად ან ქვესერიის სათაურთან ერთად.</p>
Title	სათაური	<p>სიტყვა, ფრაზა ან სიმბოლოების ჯგუფი, რომლებიც ხშირად გვხვდებიან პუბლიკაციებში და, რომლებითაც მოიცემა პუბლიკაციების ან მასში შემავალი შრომები სახელი, (ან ნებისმიერი შრომა ცალკეულ ნაშრომთა ჯგუფებიდან). პუბლიკაციები ჩვეულებრივ შეიცავენ რამოდენიმე სათაურს (მაგ.: სატიტულე გვერდზე, გარეკანზე ან ყუაზე), ეს სათაურები შეიძლება იყოს იდენტური ან განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან.</p>
Title-page	სატიტულე გვერდი	<p>გვერდი, რომელიც ჩვეულებრივად პუბლიკაციის დასაწყისშია და შეიცავს პუბლიკაციის და მასში შემავალ ნაწარმოებთა შესახებ ყველაზე უფრო სრულყოფილ ინფორმაციას და ჩვეულებრივად, შეიცავს ყველაზე უფრო სრულ ინფორმაციას სათაურის შესახებ, ცნობებს პასუხისმგებლობის შესახებ და სრულ ან ნაწილობრივ ცნობებს გამოქვეყნების შესახებ. თუ ელემენტები, რომლებიც ჩვეულებრივ წარმოდგენილია სატიტულე გვერდზე, განაწილებულია ისე რომ, არ მეორდებიან ორ ურთიერთსაპირისპირო გვერდებზე, მაშინ ეს ორივე გვერდი განიხილება, როგორც სატიტულე გვერდი.</p>
Title-page substitute	სატიტულე ფურცლის შემცვლელი	<p>გვერდი, გვერდის ნაწილი, ან პუბლიკაციის სხვა შემადგენელი ნაწილი, რომელიც, როგორც წესი, შეიცავს სატიტულე გვერდზე მითითებულ ცნობებს და რომელიც სატიტულე ფურცლის არ არსებობის შემთხვევაში ცვლის მას, (მაგ: გარეკანი, სათაური ტექსტის დასაწყისში, კოლოფონი).</p>
Title proper	ძირითადი სათაური	<p>პუბლიკაციის მთავარი სათაური, ე.ი. პუბლიკაციის სათაური იმ ფორმით, რომელიც მოცემულია სატიტულე</p>

გვერდზე ან მის შემცვლელზე. ძირითადი სათაური შეიცავს ნებისმიერ ალტერნატიულ სათაურს, მაგრამ გამორიცხავს პარალელურ სათაურს და სხვა ცნობებს სათაურის შესახებ. პუბლიკაციებისათვის რომლებიც შეიცავენ რამდენიმე ცალკეულ ნაწარმოებებს, ძირითად სათაურს წარმოადგენს კოლექტიური სათაური. პუბლიკაციები, რომლებიც შეიცავენ რამდენიმე ცალკეულ ნაწარმოებს და არ გააჩნიათ კოლექტიური სათაური, განიხილებიან, როგორც პუბლიკაციები ძირითადი სათაურის გარეშე. სერიებსა და ქვესერიებს აგრეთვე გააჩნიათ საკუთარი ძირითადი სათაური. ზოგიერთი ძირითადი სათაური შეადგება რამდენიმე სათაურისაგან, რომელთაგან ერთს ეწოდება საერთო, ხოლო დანარჩენებს - დაქვემდებარებული სათაურები.

Variant	ვარიანტი	ეგზემპლარის აღწერილობა, რომელიც აჩვენებს ბიბლიოგრაფიულად მნიშვნელოვან განსხვავებას იგივე გამოცემის ერთ ან მეტ სხვა ეგზემპლარს შორის. ტერმინი შეიძლება მიმართებაში იყოს ერთდროული ამონაბეჭდი
---------	----------	---

.3. ISBD(G) და ISBD(A) შედარებითი სქემა

0.3.1. ISBD(G) სქემა. (იხ. გვ. 11 გვ. 13)

0.3.2. ISBD(A) სქემა. (იხ. გვ. 12 გვ. 14)

0.3.1. ISBD(G) სქემა

0.3.1. ISBD(G) სქემა

სფერო		ელემენტებისათვის დაწესებული ელემენტი წინამდებარე (ან მოთავსებული) პუნქტუაცია.
შენიშვნა:		თითოეულ სფეროს გარდა პირველისა, წინ უძღვის წერტილი, ხარვეზი, დეფისი, ხარვეზი (. -).
1. სათაურის სფერო და ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ.	[] = : / ; ;	<p>1.1 ძირითადი სათაური.</p> <p>1.2 მასალის ზოგადი აღნიშვნა.</p> <p>1.3 პარალელური სათაური.</p> <p>1.4 სხვა ცნობები სათაურის შესახებ.</p> <p>1.5 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ.</p> <p>პირველადი ცნობები.</p> <p>მომდევნო ცნობები.</p> <p>2.1 ცნობები გამოცემის შესახებ.</p> <p>= 2.2 პარალელური ცნობები გამოცემის შესახებ.</p> <p>2.3 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც მიეკუთვნება გამოცემას.</p> <p>/ პირველადი ცნობები.</p> <p>; მომდევნო ცნობები.</p> <p>, 2.4 დამატებები ცნობები გამოცემის შესახებ.</p> <p>2.5 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებსაც მოსდევს დამატებითი ცნობები გამოცემის შესახებ.</p> <p>/ პირველადი ცნობები.</p> <p>; მომდევნო ცნობები.</p>
2. გამოცემის სფერო		

3. მასალის (ან პუბლიკაციის სახეობის)

სპეციფიკური სფერო

4. პუბლიკაციის გავრცელების ადგილი და ა.შ.

4.1. პუბლიკაციის, გავრცელების

სფერო ადგილი და ა.შ.

პირველადი ადგილი.

მომდევნო ადგილი.

: 4.2. გამომცემლის, გამავრცელებლის გვარი და ა.შ.

[] 4.3. ცნობები გამომცემლის, გამავრცელებლის ფუნქციის შესახებ და ა.შ.

, 4.4. პუბლიკაციის, გავრცელების თარიღი და ა.შ.

(4.5. დამზადების ადგილი.

: 4.6 დამამზადებლის გვარი

) 4.7. დამზადების თარიღი.

5. ფიზიკური აღწერის სფერო

5.1. მასალის განსაკუთრებული აღნიშვნა და ნაწარმოების მოცულობა.

: 5.2. სხვა ფიზიკური მონაცემები.

; 5.3. ნაწარმოების ზომები.

+ 5.4. ცნობები თანხლები მასალის შესახებ.

0.3.2. ISBD(A) სქემა

სფერო

ელემენტებისათვის დაწესებული წინამდებარე

ელემენტი

(ან მოთავსებული) პუნქტუაცია.

შენიშვნა: თითოეულ სფეროში გარდა პირველისა, წინ უძღვის წერტილი, ხარვეზი, დეფიზი, ხარვეზი. (. -).

1. სათაურის სფერო და ცნობები

1.1. ძირითადი სათაური.

პასუხისმგებლობის შესახებ

[] 1.2. მასალის ზოგადი აღნიშვნა

(ფაკულტატიური).

= *1.3. პარალელური სათაური.

: *1.4. სხვა ცნობები სათაურის შესახებ.

1.5. ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ.

/ პირველადი ცნობები.

; *მომდევნო ცნობები.

2. გამოცემის სფერო

2.1. ცნობები გამოცემის შესახებ.

= *2.2. პარალელური ცნობები გამოცემების შესახებ *(ფაკულტატიური).*

2.3. ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც მიეკუთვნებიან გამოცემებს.

/ პირველადი ცნობები

; მომდევნო ცნობები.

, *2.4. დამატებითი ცნობები გამოცემის შესახებ.

2.5. ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც თან ახლავს დამატებით ცნობებს

გამოცემის შესახებ.

/ პირველადი ცნობები.

; *მომდევნო ცნობები.

4. პუბლიკაციის, გავრცელების ადგილი და ა.შ.

4.1. პუბლიკაციის და/ან ა.შ. სფერო გავრცელების ადგილი.

პირველადი ადგილი.

; *მომდევნო ადგილი.

: *4.2. ცნობები გამომცემელზე, და ა.შ.

4.3. არ გამოიყენება

, 4.4. გამოცემის ადგილი, და ა.შ.

(4.5. ბეჭდვის ადგილი

პირველადი ადგილი.

; *მომდევნო ადგილი.

: 4.6. ტიპოგრაფის გვარი

) 4.7. ბეჭდვის თარიღი

5. ფიზიკური დახასიათების სფერო

5.1. მასალისა და მოცულობის განსაკუთრებული აღნიშვნა.

: 5.2. ცნობები ილუსტრაციის შესახებ.

; 5.3. ფორმატი და/ ან ზომები.

+ *5.4. ცნობები თანმხლები მასალის შესახებ (ფაკულტატიური).

ISBD(G) სქემა

6. სერიის სფერო

6.1. სერიის ძირითადი სათაური.

შენიშვნა: ცნობები სერიის შესახებ

= 6.2. სერიის პარალელური სათაური

თავსდება მრგვალ ფრჩხილებში.

თუ ცნობები სერიის შესახებ

: 6.3. სხვა ცნობები სერიის სათაურის შესახებ.

ორი ან მეტია, მაშინ

თითოეული სათაური თავსდება

მრგვალ ფრჩხილებში.

6.4. ცნობები პასუხის-მგებლობის შესახებ, რომლებიც ეხება სერიას.

/ პირველადი ცნობები

; მომდევნო ცნობები.

6.5. სერიის საერთაშორისო სტანდარტული სერიალური ნომერი.

; 6.6. ნუმერაცია სერიის ფარგლებში.

. 6.7. ქვესერიის ნუმერაცია და/ან სათაური.

= 6.8. ქვესერიის პარალელური სათაური.

: 6.9. ქვესერიის სათაურის სხვა ცნობები.

6.10. ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც მიეკუთვნება ქვესერიას.

/ პირველადი ცნობები.

; მომდევნო ცნობები.

, 6.11. ქვესერიის საერთაშორისო სტანდარტული სერიალური ნომერი.

; 6.12. ნუმერაცია ქვესერიის შიგნით.

7. შენიშვნის სფერო

8. სტანდარტული ნომერი (ალტერნატივა). და ხელმისაწვდომობის პირობების სფერო. ნომერი

8.1. სტანდარტული (ან ალტერნატიური)

- = 8.2. საკვანძო სათაური.
- : 8.3. ხელმისაწვდომობის პირობები და/ან ფასი.
- () 8.4. დახასიათება (სხვადასხვა დამოკიდებულებაში).

ISBD(A) სქემა (გაგძელება)

- 6. სერიის სფერო სათაური. 6.1. სერიებისა და ქვესერიების ძირითადი სათაური.
- შენიშვნა: ცნობები სერიის შესახებ პარალელური სათაური თავსდება მრგვალ ფრჩხილებში. = *6.2. სერიებისა ან ქვესერიის
- სათაურის : *6.3. სხვა ცნობები სერიის ან ქვესერიის შესახებ
- თუ ცნობები სერიის შესახებ ორი ან მეტია, მაშინ თითოეული მათგანი თავსდება 6.4. ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც ეხება
- მრგვალ ფრჩხილებში. / სერიას ან ქვესერიას. პირველადი ცნობები.
- ; * მომდევნო ცნობები.
- , 6.5. სერიის ან ქვესერიების საერთაშორისო სტანდარტული სერიალური ნომერი.
- ; 6.6. ნუმერაცია სერიის ან ქვესერიების ფარგლებში.

7. შენიშვნების სფერო

8. ფინგერპრინტის სფერო (ფაკულტატური)

ზოგადი შენიშვნები ISBD(A) სქემაზე

- A. ფაკულტატური ელემენტები აღინიშნება ასევე (იხილეთ 0.1.3)
- B. ელემენტებს რომლებსაც წინ უძღვის ვარსკვლავი შეიძლება გამეორებული იყოს აუცილებლობის შემთხვევაში.
- C. სფეროები 6 და 7 შეიძლება გამეორებული იყოს აუცილებლობის შემთხვევაში.
- D. ზემოთ მოყვანილი სქემაში, ტერმინები “პირველი ცნობა“, “შემდგომი ცნობა“ და ამის მსგავსი გვიჩვენებს თანამიმდევრობას რომელშიც მოცემულია ეს ცნობები აღწერილობაში და არა აქვს სხვა დამატებითი მნიშვნელობა
- E. ISBD(A) არავითარ პირობებს არ შეიცავს **ISBD(G)** სქემის სფერო 3 –ისთვის (მასალის (ან პუბლიკაციის სახეობის) სპეციფიკური სფერო), ან **ISBD(G)** სქემის 4.3 ელემენტისთვის (ცნობები გამომცემლის, გამავრცელებლის ფუნქციის შესახებ და ა.შ.) სფერო 8 ISBD(A)-ში შეიძლება გამოყენებული იყოს ფინგერპრინტის ჩასაწერად, სტანდარტული ნომრის(ან ალტერნატიული) ხელმისაწვდომობის პირობების მაგივრად .
- F. როდესაც ინფორმაცია, რომელიც ჩვეულებრივ განეკუთვნება ერთ სფეროს ან ელემენტის აღწერის ერთეულში აღმოჩნდება ლინგვისტურად დაკავშირებული სხვა სფეროსთან ან ელემენტთან, მაშინ ის გადაიწერება ისევე როგორც არის მოცემული.
- G. სატიტულე გვერდზე მოცემული ელემენტები ჩაწერილია იმ თანამიმდევრობით, როგორც გვხვდებიან ისინი, თუ არ იქნება საწინააღმდეგო ნათქვამი.

0.4 .პუნქტუაცია

0.4.1. აღწერილობის თითოეულ ელემენტს, გარდა პირველი სფეროს პირველი ელემენტისა, წინ უძღვის ან წინ და ბოლოში ახლავს პუნქტუაციის დაწესებული ნიშნები. (იხ. 0.4.3 სხვა გამონაკლისებიათვის). დაწესებულ პუნქტუაციას წინ და ბოლოში აქვს ინტერვალები (ერთი დარტყმა საბეჭდ მანქანაზე ან ინტერვალები, რომელიც შეესაძლება ერთ ასოს ტოპოგრაფიული

ბეჭდვის დროს), გარდა მძიმისა (.) და წერტილისა (.), რომელთაც მხოლოდ და მხოლოდ მოსდევს ინტერვალი. პუნქტუაციის სხვა ნიშნების შემოღება ისევე, როგორც ამ ნიშნების წინ და უკან ინტერვალების დასმა შეიძლება დაწესებულ იქნას ბიბლიოგრაფიული სააგენტოს მიერ. ISBD-ს პუნქტუაცია შენარჩუნებულია მაშინაც, როცა ამას მივყავართ ორმაგ პუნქტუაციამდე (მაგრამ იხ. 0.4.1.1 და 0.4.7). მარჯვნიდან მარცხნივ დამწერლობის პუნქტუაციისათვის იხ. 0.4.11.

0.4.1.1. ბიბლიოგრაფიულ სააგენტოებს, განსაკუთრებით მათ, რომლებიც ქმნიან საბოლოო ჩანაწერებს, შეიძლება სურდეთ აღწერაში აჩვენონ ზუსტი პუნქტუაცია ისე, როგორც ხვდებათ გამოცემაში. ამ შემთხვევაში

- ა. მისი გამოყენება უნდა აისახებოდეს ჩანაწერის საერთო ან ინდივიდუალურ შენიშვნებში.
- ბ. გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც არსებული და დაწესებული პუნქტუაცია ერთი და იგივეა, არსებული პუნქტუაცია შეიძლება გამოიტოვებულ იყოს; ეს, და სხვა დანარჩენი გამონაკლისები, აგრეთვე უნდა აისახოს ჩანაწერის შენიშვნებში როგორც მთლიანი ან ინდივიდუალური.
- გ. მანქანაზე ორიენტირებულ აღწერებში სფეროების და ელემენტების ნიშნები და ნაგულისხმები შესაბამისი დაწესებული პუნქტუაცია უნდა იყოს ასახული ჩანაწერში, მაგრამ არ არის აუცილებელი მათი ასახვა ამონაბეჭდზე.
- დ. როდესაც აღწერილობას ან არ აქვს პუნქტუაცია ან და ზედმეტი აქვს, ამ შემთხვევაში შეთანხმებული პუნქტუაცია გამოყენებული უნდა იყოს დაწესებული პუნქტუაციის მოთხოვნების გათვალისწინებით. თუ პუნქტუაცია გამოყენებული ან გაბათილებული იქნა შენიშვნებში ამის შესახებ უნდა გაკეთდეს მითითება.
- ე. დეფისი გამოყენებული სტრიქონის ბოლოში სიტყვის გასაყოფად და შემდეგ სტრიქონში გადასატანად არ ჩაიწერება; ეჭვის შემთხვევაში დეფისი ჩაიწერება.

0.4.2. მრგვალი ფრჩხილები (()) და კვადრატული ფრჩხილები ([]) (იხ. 0.4.8) თითოეული განიხილება, როგორც პუნქტუაციის ერთი სიმბოლო და წინამდებარე ინტერვალი მოდის პირველი მრგვალი ფრჩხილის ან კვადრატული ფრჩხილის წინ და მომდევნო ინტერვალი მოდის მეორე (დამაბოლოებელი) მრგვალი ან კვადრატული ფრჩხილის შემდეგ (მაგრამ იხ. 0.10). თუ მრგვალ ან კვადრატულ ფრჩხილებს წინ უსწრებს ან მოსდევს დაწესებულ პუნქტუაცია, რომელიც მთავრდება ან იწყება ინტერვალით, მაშინ რჩება მხოლოდ ერთი ინტერვალი. თუ დამაბოლოებელ მრგვალს ფრჩხილს ან კვადრატულს ფრჩხილს მოსდევს მძიმე ან წერტილი, გამოყენებული როგორც დაწესებული პუნქტუაცია, ან პუბლიკაციაში ნახმარი ნებისმიერი სასვენი ნიშანი, მაშინ არავითარი ხარვეზი არ გამოიყენება.

0.4.3. ISBD-ს თითოეულ სფეროს, გარდა პირველისა, წინ უძღვის წერტილი, ინტერვალი, ტირე, ინტერვალი (. -), თუ ეს სფერო თვალსაჩინოდ არ არის გამოყოფილი წინამდებარე სფეროსაგან აზნაცით, პოლიგრაფიულად ან შეწვევით. ამ შემთხვევაში წერტილი, ინტერვალი, ტირე, ინტერვალი შეიძლება გამოვტოვოთ ან შევცვალოთ წერტილით (.), რომელიც თავსდება წინამდებარე სფეროს ბოლოში.

0.4.4 როდესაც აღწერილობაში არ არის მოცემული სფეროს პირველი ელემენტი, პირველი ელემენტის წინამდებარე არსებული პუნქტუაცია იცვლება შემდეგნაირად: წერტილი, ინტერვალი, ტირე, ინტერვალი (. -), რომელიც წინ უძღვის სფეროს.

0.4.5 როდესაც სფერო მეორდება, თითოეულ გამეორებას წინ უძღვის წერტილი. ინტერვალი, ტირე, ინტერვალი (. -), გარდა (ა) პირობისა, რომელიც აღწერილია 0.4.3 -ში და (ბ) მე-6 სფეროს მრავალსერიული ცნობებისა.

0.4.6 როდესაც ელემენტი მეორდება, თითოეულ გამეორებას წინ უძღვის დადგენილი პუნქტუაცია, რომელიც შესაბამისია ამ ელემენტისათვის.

0.4.7 როდესაც ელემენტი მთავრდება წერტილით ან ხარვეზის ნიშნით(იხილე 0.4.8), და ელემენტისათვის დადგენილი პუნქტუაცია, რომელიც მას მოსდევს, იწყება წერტილით, ორივე წერტილი მოიცემა თუ ზუსტი პუნქტუაციით ხდება ჩანაწერის გაკეთება. თუ 0.4.1.1(b) – ში აღწერილი გამონაკლისი განხორციელდა, ან თუ შეხედულებისამებრ სხვა პუნქტუაციაა ნახმარი, მხოლოდ ერთი წერტილი იქნება მოცემული.

მაგ: სრული პუნქტუაცია by J. Smith, Esq.. -

by J. Smith, ... G. Brown,
and others ... -

by J. Smith, Esq..... -

შეთანხმებული

by J. Smith, Esq. -

პუნქტუაცია

by J. Smith, ... G. Brown
and others ... -

by J. Smith Esq....

0.4.8 პუნქტუაციის სამი სიმბოლო შეიძლება გამოვიყენოთ ყველა ან უმეტეს სფეროში.

ა. კვადრატული ფრჩხილები ([]) პუნქტუაციის დაწესებული ნიშანია, რომელიც გამოიყენება განსაზღვრული ელემენტების განსაცალკევებლად 1-ლ (იხ.1.2) და მე-4 სფეროებში (იხ. 4.3) და მე-5 სფეროს ელემენტში (იხ. 5.1). კვადრატული ფრჩხილები აგრეთვე გამოიყენება იმ ინფორმაციის გამოსაყოფად, რომელიც არ არის აღებულია ინფორმაციის დაწესებული წყაროებიდან (იხ. 0.5) და აღწერილობაში ინტერპოლაციებისათვის (იხ.0.6, 0.7, 0.10, 0.11).

თუ ერთი და იმავე სფეროს ფარგლებში თანამიმდევრულად განლაგებული ელემენტები მიღებულია არა დაწესებული ინფორმაციის წყაროდან, მაშინ ისინი თავსდებიან ერთ წყვილ კვადრატულ ფრჩხილებში, თუ ერთი ელემენტი არის მასალის ზოგადი აღნიშვნა, რომელიც ყოველთვის თავსდება თავის საკუთარ წყვილ კვადრატულ ფრჩხილებში. როდესაც თანამიმდევრულად განლაგებული ელემენტები სხვადასხვა სფეროებშია, თითოეული ელემენტი თავსდება კვადრატული ფრჩხილების ცალკეულ წყვილში.

ბ. გამოტოვების ნიშნები ანუ სამი წერტილი (...) აღნიშნავს ელემენტის ზოგი ნაწილის გამოტოვებას (იხ. 0.7.1, 0.7.2). გამოტოვების ნიშნების წინ და შემდეგ ისმება ხარვეზი.

ვ. მრგვალი ფრჩხილები (()) წარმოადგენს დაწესებულ პუნქტუაციას, რომელიც გამოიყენება თითოეული სერიის ცნობების განსაცალკევებლად მე-6 სფეროში, მე-4 სფეროში გარკვეული ელემენტის გამოსაყოფად და მე-5 სფეროს განსაზღვრულ ელემენტში ინფორმაციის მოსათავსებლად.

ერთი სასვენი ნიშანი, პლუსი აღნიშნული (+) რომლის წინ და შემდეგ საჭირო ხარვეზი, დაწესებული პუნქტუაციაა მე-5 სფეროში (იხილე 5.4).

0.4.9 როდესაც სფეროსა ან ელემენტში ერთი და იგივე ინფორმაციაა მოცემული ორ ან მეტ ენაზე და/ან დამწერლობაში, გამოიყენება შემდეგი დებულებები:

თუ ერთი ელემენტი ჩაწერილია ორ ან მეტ ენაზე და/ან დამწერლობაში, პირველი ენის შემდგომ ინფორმაციას თითოეულ ენაზე და/ან დამწერლობაში წინ უნდა უძღოდეს ინტერვალი, ტოლობის ნიშანი, ინტერვალი (=).

თუ ერთ სფეროში ორი ან მეტი ელემენტი ჩაწერილია ორ ან მეტ ენაზე და/ან დამწერლობაში, მაშინ ეს ელემენტები თითოეულ ენაზე და/ან დამწერლობაში მოცემულია შესაბამის წინამდებარე პუნქტუაციასთან ერთად თითოეული ელემენტისათვის.

0.4.10 ნებისმიერი სფერო ან ელემენტი, რომელიც არ მიესადაგება მოცემულ აღსაწერ ერთეულს, არ ჩაირთვება მის აღწერილობაში. ასევე უნდა იყოს გამოტოვებული ასეთი სფეროს ან ელემენტის წინ მდებარე ან განმაცალკეველები დაწესებული პუნქტუაცია.

0.4.11 როდესაც ინფორმაცია მოცემულია მარჯვნიდან მარცხნივ დამწერლობით, მაშინ დაწესებული პუნქტუაცია, როგორცაა მძიმე და წერტილ-მძიმე გამოიყენება საწინამდებარე მიმართულებით, თუ ეს არის დამწერლობის სტილი. ზუსტად ასევე - წერტილი, ინტერვალი, ტირე, ინტერვალის კომბინაცია დაწესებული პუნქტუაციისა იკითხება მარჯვნიდან მარცხნივ და მაშინ მრგვალი გამხსნელი და მრგვალი დამხურავი ფრჩხილების მნიშვნელობები, ისევე როგორც კვადრატული ფრჩხილებისა, საწინამდებარეა. დახრილი ხაზის ნიშანი და დასავლურ არაბული ციფრების ჯგუფი, რომლებიც არ შეცვლილა ასეთ დამწერლობაში არ იცვლიან ადგილს.

იხილეთ დანართი B, სადაც მოცემულია თუ როგორ უნდა ინფორმაციის ჩაწერა როგორც მარცხნიდან მარჯვნივ, ასევე მარჯვნიდან მარცხნივ დამწერლობის გამოყენებით.

პუნქტუაციის სრული მაგალითი ყოველი სფეროსთვის განიხილება სფეროს დასაწყისში.

0.5 ინფორმაციის წყაროები

პუბლიკაციის ბიბლიოგრაფიული აღწერილობაში გამოყენებული ინფორმაცია აღებულია მისი სატიტულე ფურცლიდან და სხვა წყაროებიდან რომლებიც დადგენილია განსაზღვრული სფეროებისთვის შემდეგი შეთანხმებების საფუძველზე.

0.5.1 უპირატესი ინფორმაციის წყაროების თანმიმდევრობა

როდესაც ერთტომეული პუბლიკაციისათვის არის ერთზე მეტი სატიტულე გვერდი, არჩეული ერთი მათგანი იქნება განსაზღვრული პუბლიკაციის აღწერისთვის (მაგ. სერიული გამოცემის მონოგრაფიებისთვის, ტომის სატიტულე გვერდი; ფაქსიმილური გამოცემისათვის, სატიტულე გვერდი ფაქსიმილური გამოცემის დეტალებით; იხილეთ აგრეთვე 1.1.3.2).

როდესაც მრავალტომეული პუბლიკაციისათვის მოიპოვება სატიტულე გვერდი ყოველი ტომისათვის, არჩეული სატიტულე გვერდი უნდა იყოს პირველი ტომის.

როდესაც ერთტომეული პუბლიკაციისათვის არ მოიპოვება სატიტულე გვერდი, რომელიც გამოდგება მთელი პუბლიკაციისათვის, მაგრამ მასში შესულ ყოველ ნაშრომს გააჩნია საკუთარი სატიტულე გვერდი, ეს რამდენიმე სატიტულე გვერდი შესამდებელია განვიხილოთ ერთობლივად როგორც ინფორმაციის ერთადერთი წყარო.

სატიტულე ფურცლები რომლებიც არ იყო შერჩეული როგორც აღწერისთვის ან როგორც ინფორმაციის წყაროს ერთადერთი ნაწილი, განიხილებიან სხვა არჩევანის შემადგენელ ნაწილებად.

როდესაც პუბლიკაციას არ გააჩნია სატიტულე გვერდი, ინფორმაციის ალტერნატიული წყარო შეირჩევა როგორც სატიტულე ფურცლის შემცველი. ინფორმაციის ალტერნატიული წყაროს შერჩევა რომელიც დამუშავდება როგორც სატიტულე ფურცლის შემცველი განისაზღვრება იმის გათვალისწინებით, თუ რომელი წყაროა სრული ინფორმაციის მატარებელი და უპირატესობას ვანიჭებთ იმ წყაროს რომელიც წარმოადგენს პუბლიკაციის ნაწილს, პუბლიკაციის გარეშე წყაროების მიხედვით.

ყოყმანის შემთხვევაში სატიტულე ფურცლის შემცველის შერჩევის თანმიმდევრობა შემდეგია: კოლოფონი, ნახევარი სათაური, სხვა წინასწარ შერჩეულები, # ძირითადი ტექსტის სიტყვები, აღსაწერი ერთეულიდან აღებული სიტყვები. სატიტულე ფურცლთან ერთად სატიტულე

ფურცლის არავითარი შემცვლელი არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც ერთადერთი წყარო. როდესაც არ არსებობს არც სატიტულე გვერდი და არც მთელი პუბლიკაციისთვის გამოყენებული მისი ერთადერთი შემცვლელი, რამდენიმე (უმჯობესია იგივე სახის) სატიტულე ფურცლის შემცვლელი ერთად შეიძლება განიხილებოდეს როგორც ინფორმაციის ერთადერთი წყარო. სხვა შემთხვევაში ყოველ აღწერილობაში მხოლოდ ერთი გვერდი, გვერდის ნაწილი ან პუბლიკაციის ნაწილი შეიძლება განისაზღვროს სატიტულე ფურცლის შემცვლელად.

არალათინური დამწერლობის აღმოსავლური პუბლიკაციების შემთხვევაში, როდესაც სრული ბიბლიოგრაფიული დეტალები მოიცემა კოლოფონში, გვერდი რომელიც სატიტულე გვერდის პოზიციაშია და ძირითადი სათაურის მატარებელია არ განიხილება სატიტულე გვერდად შემდეგი მდგომარეობის შემთხვევაში:

- ა. როდესაც ფურცელი მატარებელია მხოლოდ ძირითადი სათაურის #ნახევრად სატიტულე გვერდის მსგავსად.
 - ბ. როდესაც ფურცელი მატარებელია მხოლოდ ძირითადი სათაურის, სხვა ბიბლიოგრაფიული ინფორმაციასთან ერთად ან მის გარეშე, ხელნაწერ ვერსიაში (კოლოფონში მოცემული სრული ბიბლიოგრაფიული დეტალები მოცემული შეთანხმებულ ფორმებში ჩინური სიმბოლოებით როგორც ეს თანამედროვე ჩინურ, იაპონურ და კორეულ ბეჭდვაშია)
 - გ. როდესაც ფურცელი მატარებელია პუბლიკაციის სათაურის ან მისი დეტალების მხოლოდ დასავლურ ენაზე მოცემული ვერსიის.
- ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში სატიტულე ფურცლის შემცვლელის უპირატესობა ენიჭება კოლოფონს.

0.5.2 ინფორმაციის დაწესებული წყაროები.

ყოველი სფეროსათვის განკუთვნილია “ინფორმაციის დაწესებული (მთავარი) წყაროები”. ცნობები, რომლებიც სფეროსათვის აღებულია სხვა და არა ძირითადი წყაროდან, ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში თუ ის ჩაწერილია როგორც სფეროს ნაწილი. ან ასეთი ინფორმაცია შესაძლებელია მოიცეს კვადრატულ ფრჩხილების გარეშე მე-7 სფეროში. განსაკუთრებული პირობები მოცემულია ISBD(A)-ს შესაბამის ნაწილებში.

პუბლიკაცია აღიწერება იმ გამოშვების მიხედვით, როგორც გამოქვეყნდა ის გამომცემლის მიერ. ხელში მყოფი პუბლიკაციის არცერთი ნაწილი არ განიხილება როგორც დაწესებული პირველწყარო, თუ ის პუბლიკაციის რაღაც გამოშვების ნაწილს არ წარმოადგენს. მაგ. ყდა ან ყუა განიხილება დაწესებულ პირველწყაროდ, თუ ნათელია რომ პუბლიკაცია გამოშვებული იყო ამ ყდით.

როდესაც ინფორმაცია 1,2,4, ან 6 სფეროებისთვის აღებულია იმ წყაროდან რომელიც არ წარმოადგენს სატიტულე გვერდს, ინფორმაციის წყარო უნდა აღინიშნოს მე-7 სფეროში. როდესაც პუბლიკაციას აკლია სატიტულე გვერდი და ინფორმაციის ალტერნატიული წყარო აღებულია სატიტულე ფურცლის შემცვლელად, სატიტულე ფურცლის შემცვლელი იდენტიფიცირებულია მე-7 სფეროში, როგორც არის შემცვლელიდან აღებული ნებისმიერი ინფორმაცია 1,2,4, ან 6 სფეროებისთვის.

სფერო	ინფორმაციის დაწესებული წყარო
1.სათაური და ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ	სატიტულე გვერდი
2.გამოცემა	სატიტულე გვერდი
3. მასალის სპეციფიკაციის სფერო	არ გამოიყენება
4.გამოცემა, ბეჭდვა, გავრცელება და ა.შ.	სატიტულე გვერდი კოლოფონი და პრელიმინარიები იმ რიგით როგორც ეს მე-4 სფეროშია

5.ფიზიკური აღწერილობა	თვით პუბლიკაცია
6.სერია	სატიტულე გვერდი, სხვა პრელიმინარიები, ყდა, ყუა, კოლოფონი
7.შენიშვნა	ნებისმიერი წყარო
8.ფინგერპრინტი	თვით პუბლიკაცია

დაწესებული წყარო(ები) ყოველი სფეროსთვის აგრეთვე განიხილება ყოველი სფეროს დასაწყისში პუნქტუაციის მაგალითის შემდეგ.

0.6 აღწერილობის ენა და დამწერლობა

1, 2, 4 და 6 სფეროების ელემენტები ჩვეულებრივ გადაიწერება აღწერის ერთეულიდან და ამიტომ, სადაც ეს მიღებულია პრაქტიკაში, ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში იმ ენაზე და/ან იმ დამწერლობაში არიან, როგორც არის მოცემული აღწერის ერთეულში.

ინტერპოლაცია ამ სფეროებში ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში და იმ ენაზე და/ან დამწერლობაშია, რომელიც მოყვანილია აღწერილობის მოცემული ნაწილის კონტექსტში, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- დაწესებული აბრევიატურები (იხ. 0.7) და დაწესებული ინტერპოლაციები (იხ. 0.10, 0.11);
- მასალის ზოგადი აღნიშვნა (იხ. 1.2), რომლებიც მოცემულია იმ ენაზე და/ან დამწერლობაში, რომელსაც ირჩევს ბიბლიოგრაფიული სააგენტო.

ტერმინები, გამოყენებული მე-5, მე-7 და მე-8 სფეროებში არ არის მოცემული კვადრატულ ფრჩხილებში და მოცემულია იმ ენაზე და/ან დამწერლობაში, რომელსაც ირჩევს ეროვნული ბიბლიოგრაფიული სააგენტო გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

- ციტირებული სათაურები მოცემულია მე-7 სფეროში
- ციტატები მოცემულია მე-7 სფეროში

აღწერის ერთეულების ბიბლიოგრაფიული აღწერილობა იმ დამწერლობაში, რომლითაც არ სარგებლობენ ეროვნული ბიბლიოგრაფიული სააგენტოები, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება იქნას ტრანსლიტირებული ან გადაწერილი ამ ცნობების ფრჩხილებში ჩასმის გარეშე, იმ დამწერლობაში, რომელსაც იყენებს მოცემული სააგენტო.

პუბლიკაციიდან აღებული სიტყვების მართლწერა დაცულია, მაგრამ ლიგატურა და სიმბოლოების და დიაკრიტიკების სხვა თანამედროვე ფორმები შეიძლება გადაწერილი იყოს მათი მიმდინარე ფორმით როდესაც კატალოგიზირების სააგენტოსთვის ხელმისაწვდომი არ არის თანამედროვე ფორმა. არ აღირიცხება სიმბოლოების განსხვავებული ფორმები, როდესაც ხმარებისას არავითარი ორთოგრაფიული განსხვავება არ არის გაკეთებული. წყაროში არ არსებული დიაკრიტიკული ნიშნები არ დაემატება. დიდი და პატარა ასოების ჩაწერისას იხილე 0.8. კატალოგიზირების სააგენტოები უნდა მისდევდნენ თანამედროვე მართლწერის პრაქტიკას ჩასმების შესრულებისას. ჩასმები ლათინურად უნდა კეთდებოდეს ხელზე მყოფი აღსაწერი ერთეულის პრაქტიკიდან გამომდინარე.

0.7 შემოკლებები და აბრევიატურა

0.7.1 გამონაკლის შემთხვევებში აღწერილობისას დაშვებულია გარკვეული ელემენტების შემოკლება, თუ გამოტოვებას ადგილი აქვს ელემენტის ბოლოს ანდა შუაში(მაგ. გრძელი ძირითადი სათაურის დროს, იხილე 1.1.4.1). ასეთ შემთხვევებში გამოტოვებები აღნიშნულია გამოტოვების ნიშნით.

0.7.2 პასუხისმგებლობის შესახებ ცნობის შემოკლების შემთხვევაში, რომელიც შედგება რამოდენიმე პირის გვარისაგან ან დასახელებული კოლექტიური ავტორებისაგან, (იხ. 1.5.4.3)

გამოტოვება აღინიშნება გამოტოვების ნიშნით და დაწესებული აბრევიატურით "et al." (= et alii და სხვ.) რომელიც თავსდება კვადრატულ ფრჩხილებში (ან არალათინური ჩანაწერებისთვის, მის ეკვივალენტზე სხვა დამწერლობაში)

0.7.3 სხვა აბრევიატურა დაწესებულია სპეციალურ დებულებებში (მაგ. 4.1.11, 5.3.1).

0.7.4 ISBD-ის სხვადასხვა დებულებებში ძირითადი ყურადღება ექცევა “სტანდარტულ შემოკლებებს“ (მაგ. ცნობები გამოცემის შესახებ , იხ. 2.1) შემოკლებების ფორმების დაზუსტების გარეშე. ეს შემოკლებები არ არის დაწესებული, მაგრამ რეკომენდირებულია , რომ ISO 832- 1575, დოკუმენტაცია -ბიბლიოგრაფიული მითითებები -ტიპიურ სიტყვების აბრევიატურა , ან გამოიყენება მსგავსი ეროვნული სტანდარტები.

ISBD -ებში გამოყენებული შემოკლებების მაგალითები გარდა 0.72-სა და 0.7.3, საილუსტრაციო ხასიათისაა და არ არის აუცილებელი .

0.7.5 მონაცემთა ჩაწერა 1, 2 და მე- 6 სფეროებში არ მოკლდება გარდა სპეციალურად დაწესებულ ან დაშვებულ აბრევიატურისა და შემოკლებებისა, თუ ეს შემოკლებები არ არის მითითებული წყაროში.

0.7.6 პუბლიკაციაში ნახმარი შემოკლებები

როდესაც შემოკლებები და აბრევიატურები გაგრძელებულია, გრძელი ან ხშირად ნახმარი

სიტყვების შემოკლებების ჩაწერის ტრადიციებშია მათი ისევე დატოვება ან მათი სრული სახით

წარმოდგენა(გაფართოება) სადაც კი ეს შესაძლებელია. ნებისმიერი ასეთი გაფართოება უნდა

აღინიშნოს გამოყოფით, ხაზგასმით ფრჩხილებში ჩასმით ან მე-7 სფეროში შენიშვნის გაკეთებით

e.g. Boetij viri celebemmi de [con]solatio[a]e
phylosophie liber: ca[a] optima [com]rne[n]lo beati
Thome
Dialogus beati Gregorij Pape: eiusq[ue) diamni
Petri in quattuor libras diuisus: de vita [et]
miraculis paw[m] italicor[um]: [et] de
eternitate a[n]jimarum

როდესაც მოცემულია აბრევიატურის მნიშვნელობა ან შემოკლების გაგრძელება კითხვის ნიშანი ისმის გაფართოების შემდეგ მაგ., amico[rum?] და ა.შ. როდესაც არ არის განმარტებული აბრევიატურის მნიშვნელობა ან შემოკლება, ისმის კითხვის ნიშანი ჩასმული კვადრატულ ფრჩხილებში, ყოველი განუმარტავი აბრევიატურისთვის ან შემოკლებისთვის მაგ., amico[?], [?] ან დატოვეთ ისინი როგორც შეგხვდათ ისე.

ინიციალები, ინიციალიზმები, აკრონიმები ჩაიწერება შიდა ხარვეზების გარეშე, მიუხედავად იმისა როგორ არიან წარმოდგენილი აღსაწერ ერთეულში.

მაგ., Pel batesimo di SA.R. Ludovico ...
KL lanuarius habet dies xxd
J J. Rousseau

აბრევიატურები, რომელიც ერთზე მეტ ასოს შეიცავს განიხილებიან, როგორც განსხვავებული სიტყვები და გამოიყოფა ხარვეზებით მანამდე ან მის შემდეგ არსებული სიტყვებიდან ან ინიციალებიდან.

მაგ., Ph. D.
Mr J.J. Rousseau

როდესაც გვაქვს ორი ან მეტი განსხვავებული აბრევიატურა, ინიციალიზმები და ა.შ. ყოველი მათგანი გამოიყოფა სხვისაგან ხარვეზით.

მაგ., par R.F. s. d. C.
M. J.P. Rabaut

0.8 დიდი ასოების გამოყენება

საზოგადოდ, პირველი სიტყვის პირველი ასო თითოეულ სფეროში უნდა იყოს დიდი; ზოგიერთი ელემენტის (მაგ. მასალის ზოგადი აღნიშვნა , პარალელური სათაური , ნაწილის სათაური) პირველი სიტყვის პირველი ასო უნდა იყოს აგრეთვე დიდი . სხვა შემთხვევებში დიდი ასოები გამოიყენება სხვა ენის და / ან დამწერლობის შესაბამისად , რომელზეც გადმოცემულია აღწერილობა (იხ. 0.6). როდესაც ერთ ენაზე ან/და დამწერლობაზე მეტს ვხვდებით აღწერილობაში ყოველ მათგანში დიდი ასოების გამოყენება ხდება შესაბამისად იმ ენისა ან/და დამწერლობისა მიუხედავად იმისა თუ ეს იწვევს შეუსაბამობას დიდი ასოების ხმარების შაბლონში მთლიან აღწერილობაში.

პატარა ასოები არასდროს ჩაიწერება დიდი ასოებით. აღსაწერი პუბლიკაციას უნდა სდევდეს დიდი ასოების პატარად გარდაქმნის გამოყენება (დიაკრიტიკების ჩათვლით). I, J, U, V და VV გარდაქმნისას, რომელთა მიმართაც პრაქტიკა არათანმიმდევრულია, რეკომენდირებულია შემდგი გამოყენება:

I ან J როგორც i (მაგრამ ბოლო IJ როგორც ij და ბოლო ფართო დიდი I როგორც I);
U და V როგორც u (მაგრამ დასაწყისში U or V როგორც v);
VV როგორც uu (მაგრამ w დასაწყისში).

შავი დიდი ასოები J ან U სიმბოლოების ფორმაში ჩაიწერება როგორც I ან V. სათაურში ან ბეჭდილობითი ცნობების სფეროში ან პოემის ტექსტში თარიღის რიცხობრივი მნიშვნელობის ასოები მოიცემა დიდი ასოებით. კატალოგიზირების სააგენტოს მიერ გაკეთებული ჩასმები უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე პრაქტიკას.¹

¹ დებულებები 0.6-დან მიმართულია ენის, ასოების ფორმისა და დამწერლობის და დიაკრიტიკების ჩაწერის დროს გამოსაყენებლად.

0.9 მაგალითები

ISBD-ის ტექსტში მაგალითები საილუსტრაციოდ არიან მოცვანილნი და არ ატარებენ აუცილებელ ხასიათს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა წესებში სპეციალურადაა მითითებული მაგალითების ფორმის დაცვა. მაგალითების უმრავლესობა დაფუძნებულია არსებული გამოცემის აღწერილობაზე, მაგრამ ზოგიერთი მაგალითი გამოგონილია.

ISBD-ს ინგლისურ ტექსტში გამოცენებული ტერმინები, ასევე სიტყვები ან მოკლე ფრაზები, რომლებიც დამატებულნი არიან მე - 5, 7 და 8 სფეროს მაგალითებისათვის მოცემულია ინგლისურ ენაზე. თარგმანის შემთხვევაში მოსალოდნელია რომ ისინი გადმოიცეს თარგმანის ენაზე.

ზოგიერთ მაგალითში გამოტოვების ნიშნები ჩასმულია გრძელი სათაურის შემოკლების აღსანიშნავად როდესაც აღწერის სხვა ელემენტი გამოყენებულია. გამოტოვების ნიშნები არ გულისხმობენ, რომ სრულ აღწერილობაში (იხილე 0.4.1) ეს გამოტოვებები აუცილებლად უნდა გაკეთდეს.

მაგალითებში მოცემული პუნქტუაცია არ გვხვდება აუცილებლად ინფორმაციის წყაროში. შედარებისთვის, პირველი ორი მაგალითი C დამატებაში მოცემულია მათი საკუთარი სრული პუნქტუაციით და სხვები შეთანხმებული პუნქტუაციით(იხილე 0.4.1). ზოგ შემთხვევაში პუნქტუაციის გამოტოვება ინფორმაციის წყაროში არ იწვევს ერთიდაიგივე შრომის სხვადასხვა გამოცემის დიფერენცირებას, მაგალითად:., The hunter's wedding, and The hunter's weddvg. ასეთ შემთხვევაში ფაქტიური პუნქტუაციის შესახებ შენიშვნა უნდა მოცემულ იქნეს მე-7 სფეროში.

0.10 ბეჭდვის შეცდომები

უზუსტობანი ან ბეჭდვითი შეცდომები ისევე ჩაიწერება, როგორც არის მოცემული პუბლიკაციაში. მათ შემდეგ დაისმება “Sic” ან “!“, რომლებიც თავსდება კვადრატულ ფრჩხილებში და წინ და შემდეგ უნდა ჰქონდეს ინტერვალი([Sic] ან [!]). ან შეიძლება დაემატოს სიტყვის სწორი ჩაწერა კვადრატულ ფრჩხილებში და შესწორებას წინ უნდა უძღოდეს “i. e.” (id est), ანდა მისი ექვივალენტი სხვა ენაზე და /ან დამწერლობაში. ასოები, რომლებიც გამოტოვებულია ბეჭდვის შეცდომებში შეიძლება ჩაისვას კვადრატულ ფრჩხილებში (ამ შემთხვევაში არც წინ და არც შემდეგ არ უნდა ჰქონდეს ინტერვალი).

e.g. An bnmble [sic] address

1h» aottal [i.e. noted] history of Mother Grim

To my loaing [I] friend

როდესაც მბეჭდავმა დატოვა ცარიელი ადგილი საწყისი ასოს ხელით ჩასასმელად, ასო კვადრატულ ფრჩხილებში ჩაისვა, და ჩასმა ახსნილია მე-7 სფეროში.

e.g. [T]he true history of recent evens

შენიშვნა: მბეჭდავმა გამოტოვა ადგილი საწყისი ასოსთვის

0.11 სიმბოლოები და ა. შ.

სიმბოლო ან სხვა ნიშანი რომელიც შეიძლება გადმოიცეს ტიპოგრაფიული საშუალებებით (ჩვეულებრივ ეს არის სიმბოლოები, რომლებიც არც ციფრებია და არც ალფაბეტის სიმბოლო) იცვლება მისი აღწერილობით ან ექვივალენტით შესაბამისი ასოებისა და სიტყვების გამოყენებით. შემცვლელი თავსდება კვადრატულ ფრჩხილებში და კეთდება, საჭიროების მიხედვით, განმარტება.

მაგ., / [E. B. C.]

შენიშვნა: ავტორის ინიციალები წარმოდგენილია სატიტულე გვერდზე მუსიკალური ნიშნებით.

[3rd] edition

შენიშვნა: გამოცემის ჯერადობის აღმნიშვნელი რიცხვი წარმოდგენილია სატიტულე გვერდზე სამი ვარსკვლავით

Splinters, historical, sacred and profane, partly from
off that standard [oak], our blessed constitution

შენიშვნა: სიტყვა [oak] წარმოდგენილია სატიტულე გვერდზე გრავიურით ხეზე.

ნაკლოვანებანი

ISBD ები დაინტერესებულნი არიან ბიბლიოთეკაში არსებული მასალის სრულყოფილი ეგზემპლარების აღწერით, მაგრამ არ კეთდება არავითარი შეთანხმება ისეთი სიტუაციისთვის, როდესაც არ არსებობს იდეალური ან სრულყოფილი ეგზემპლარი ან როცა არასრულყოფილი ეგზემპლარის კატალოგიზირება ხდება სრულყოფილი მაგალითის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის დახმარების გარეშე. პირველ შემთხვევაში, მონაცემთა ბაზების შემდგენელები და მომხმარებლები მანქანა-ორენტირებული ან არა, უნდა ხვდებოდნენ, რომ აღწერილობები, რომლებიც ითვალისწინებენ ბეჭდვის დროს მიღებულ ცვლილებებს, მიძღვნილ განსაკუთრებულ ეგზემპლარებს, დაშვებული შეცდომების შემცველ ფურცელს, არ შეიძლება იყოს მიმართული იგივე გამოცემის ყველა ეგზემპლარზე.

მეორე შემთხვევაში, სრულყოფილი ეგზემპლარის ჩანაწერი ჯერ უნდა მოიძებნოს და ნაკლოვანებანი და სხვა სპეციფიკური მახასიათებლები უნდა მითითებული იყოს შენიშვნებში; მაგრამ როდესაც სრულყოფილი ეგზემპლარის არცერთი დეტალი არ იძებნება, ინფორმაცია რომელიც მიღებულია კატალოგიზატორის მიერ სათაურიდან და ცნობიდან პასუხისმგებლობის შესახებ ჩასმული უნდა იყოს ფრჩხილებში და უნდა ერთვოდეს განმარტებითი შენიშვნა. ალტერნატიული შესაძლებლობები დაკავშირებული არიან “ან”-ით. როდესაც ამგვარი ინფორმაცია არ არის დართული ხარვეზი უნდა აღინიშნოს კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული გამოტოვების ნიშნით და თანდართული განმარტებითი შენიშვნით. არასრული ეგზემპლარების გვერდების რაოდენობა, როდესაც შეუძლებელია დადგინდეს სრული ეგზემპლარის გვერდების რაოდენობა, უნდა მოიცეს გვერდების ან-და ფურცლების ნომრების ჩაწერით 5.1 პირობების მიხედვით, მაგრამ “გვ.”-ით ან “ფურცელი” –ით წინ და პლუს ნიშნით წინ ან შემდგომი მოცულობის ცნობით, (მაგ. გვ. 1-200+, ან გვ. +41-200), ან იმ შემთხვევაში როდესაც არ არის მოცემული გვერდების ან ფურცლების ნუმერაცია მივსდევთ 5.1.2.6 დებულებებს. ამ შემთხვევებში, და მაშინ როდესაც სრული ეგზემპლარის მოცულობა დადგენილია, განმარტებითი შენიშვნა უნდა იყოს მოცემული.

ელემენტის სპეციფიკაცია.

1. სათაურის და პასუხისმგებლობის შესახებ ცნობების სფერო სარჩევი
- 1.1 ძირითადი სათაური
- 1.2 მასალის ზოგადი აღნიშვნა (ფაკულტატიური)
- 1.3 პარალელური სათაური
- 1.4 სხვა ცნობები სათაურის შესახებ
- 1.5 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ

პუბლიკაციის შაბლონი

- ა. მასალის ზოგადი აღნიშვნა ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში, პირველს წინ უსწრებს და მეორეს მოსდევს ხარვეზი.
- ბ. ყოველი პარალელურ სათაურს წინ უსწრებს ხარვეზი, ტოლობის ნიშანი, ხარვეზი (=).
- გ. სათაურის შესახებ სხვა ცნობებისათვის განკუთვნილ თითოეულ ელემენტს წინ უძღვის ორი წერტილი ხარვეზებით ორივე მხრიდან (:), გარდა იმ შემთხვევისა, როცა პუბლიკაციაში მოცემული სიტყვა ან ფრაზა წარმოადგენს შემაერთებელ რგოლს წინამდებარე ცნობების ელემენტებისა მომდევნო და შემდგომი ელემენტებისთვის
- დ. პირველად ცნობას პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოსდევს ნებისმიერ სათაურს, წინ უძღვის დახრილი ხაზი ორივე მხრიდან ხარვეზებით (/).
- ე. ყოველ მომდევნო ცნობებს პასუხისმგებლობის შესახებ, წინ უძღვის წერტილმძიმე, ორივე მხრიდან ხარვეზებით (;), გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი შეადგენენ ერთ ფრაზას.
- ვ. სხვადასხვა ავტორების ცალკეულ ნაწარმოებთა სათაურები, რომლებიც შედიან გამოცემებში, გამოიყოფიან წერტილით და ხარვეზებით მის შემდეგ (.), თუ ისინი არ არიან დაკავშირებულნი პუბლიკაციაში მითითებული შემაერთებელი სიტყვით ან ფრაზით.
- ზ. ერთი და იმავე ავტორის ცალკეულ ნაწარმოების პუბლიკაციებში შემავალი სათაურები გამოიყოფიან ერთმანეთისაგან წერტილმძიმით, ხარვეზებით ორივე მხრიდან (;).
- თ. იმ შემთხვევაში, თუ სათაურები შედგებიან საერთო და დაქვემდებარებული სათაურებისაგან, თითოეულ დაქვემდებარებულ სათაურს ან მის აღმნიშვნელს რომელიც მოსდევს საერთო სათაურს, წინ უძღვის წერტილი ხარვეზებით მის შემდეგ (.).
- ი. ყოველ დამოკიდებულ სათაურს, რომელსაც მოსდევს მისი აღმნიშვნელი, წინ უძღვის მძიმე, ხარვეზებით მის შემდეგ (,).

მაგალითები:

ძირითადი სათაური [მასალის ზოგადი აღნიშვნა] = პარალელური სათაური = პარალელური სათაური / ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ

ძირითადი სათაური [მასალის ზოგადი აღნიშვნა] : სხვა ცნობები სათაურის შესახებ : სხვა ცნობები სათაურის შესახებ / ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ

ძირითადი სათაური [მასალის ზოგადი აღნიშვნა] : სხვა ცნობები სათაურის შესახებ = პარალელური სათაური : პარალელური სხვა ცნობები სათაურის შესახებ / პარალელური ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ

ძირითადი სათაური [მასალის ზოგადი აღნიშვნა] / ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ = პარალელური სათაური / პარალელური ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ

ძირითადი სათაური [მასალის ზოგადი აღნიშვნა] / ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ ; მეორადი ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ

ძირითადი სათაური [მასალის ზოგადი აღნიშვნა] / ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ.
სათაური / ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ

ძირითადი სათაური [მასალის ზოგადი აღნიშვნა] = პარალელური სათაური ; სათაური =
პარალელური სათაური / ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ

საერთო სათაური. დაქვემდებარებული სათაურის აღნიშვნა , დაქვემდებარებული სათაური
[მასალის ზოგადი აღნიშვნა]

საერთო სათაური. დაქვემდებარებული სათაური [მასალის საერთო აღნიშვნა]

დაწესებული წყარო
სატიტულე გვერდი

პუბლიკაციაში არსებული ინფორმაცია, მაგრამ არა სატიტულე გვერდზე და მოყვანილი
პირველ სფეროში, თავსდება კვ. ფრჩხილებში. ცალკეული წესები (მაგ.: 1.1.3.3) განსაზღვრავენ
ინფორმაციას, რომელიც მოიძიება პუბლიკაციაში და მოიცემა პირველ სფეროში.

ინფორმაცია, რომელიც აღებულია პუბლიკაციის გარეშე მოყვნილია სფერო.

1.1. ძირითადი სათაური

1.1.1. ძირითადი სათაური წარმოადგენს აღწერილობის პირველ ელემენტს, მაშინაც კი, როცა მას
სატიტულე გვერდზე წინ უძღვის ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, ცნობები გამოცემის
შესახებ, ცნობები სერიის შესახებ, ბეჭდილობის ცნობები, ფასი ან სხვა ცნობები, რომლებიც არ
ეხებიან სათაურს.

1.1.2. ძირითადი სათაური წარმოადგენს პუბლიკაციის მთავარ სათაურს. მას შეიძლება ჰქონდეს
სხვადასხვანაირი ფორმა:

1.1.2.1. ძირითადი სათაური შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ ტერმინისაგან, რომელიც
აღნიშნავს ნაწარმოების სახეობას ან მის მხატვრულ და ინტელექტუალურ შინაარსს.

მაგ.: proceedings (შრომები)

plays (პიესები)

collected works (თხზულებათა კრებული)

1.1.2.2. ძირითადი სათაური შეიძლება შედგებოდეს პიროვნების გვარისაგან ან ორგანიზაციის
დასახელებისაგან, თუ სატიტულე გვერდს არ გააჩნია სხვა სათაური.

მაგ.: Salustius

Tabby to Pindar

Diss büch heÿssset Lucidarius

Museum diluvianum quod possidet Joh. Jacobus

Scheuchzer

Towns of Hounslow and Heston, and parts adjacent, in the County
of Middlesex, Association, for defeding Liberty and Property

Il Petrarca

1.1.2.3. ძირითადი სათაური შეიძლება შედგებოდეს ან შეიცავდეს ინიციალების ან აკრონიმების
ერთობლიობას, რომლებიც გამოყოფილნი არიან განსაკუთრებული შრიფტით სატიტულე
გვერდზე.

მაგ.: P.M.S.: an elegiac poem in memory of

...
William Whitmore Esquire

სატიტულე გვერდზე მოცემული სრული ფორმა, რომელიც არ არის შესრულებული როგორც ძირითადი სათაური (იხ. 1.1.3), მოყვანილია როგორც სხვა ცნობები სათაურის შესახებ. (იხ. 1.4.3) ან როგორც ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ (იხ. 1.5.4).

1.1.2.4. ძირითადი სათაური შეიძლება შედგებოდეს 2 ნაწილისაგან. (თითოეული მათგანი შეიძლება ჩაითვალოს როგორც სათაური), დაკავშირებული ერთმანეთთან სიტყვა "ან" - ით, (ან მისი ექვივალენტით სხვა ენაზე). (მეორე ნაწილი კი - როგორც ალტერნატიული სათაური).

მაგ.: Christianographie, or The description of the multitude and sundry
sorts of Christians in the world not subject to the Pope
Rechtschaffener Tantzmeister, oder Gründliche Erklärung der
frantzösischen Tants-Kunst
Thèologie portative, ou Dictionnaire abrègè de la religion
chrètienne
Le mystère d'iniquité, c'est à dire L'histoire de la Papauté par
quels progresz elle est mantlée à ce comble
Арифметика сиречь Наука числительная

1.1.2.5. ძირითადი სათაური შეიძლება შეიცავდეს ციფრებს ან ასოებს, თუ ისინი წარმოადგენენ მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას რათა განასხვავონ ძირითადი სათაური სხვა სათაურებისაგან.

მაგ.: In Caii Plinii Secundi Naturalis Historiae I. & II
cap. Libri xxx. commentarius

1.1.2.6. ძირითადი სათაური შეიძლება შეიცავდეს ცნობებს პასუხისმგებლობის შესახებ, გამომცემლის გვარს ან ცნობებს, რომლებიც ეხება ადწერილობის სხვა ელემენტებს (მაგ.: ცნობები გამოცემის შესახებ) თუ ასეთი ინფორმაცია წარმოადგენს ძირითადი სათაურის ენობრივად განუყოფელ ნაწილს.

მაგ.: The post-humous works of Robbert Hooke
Monsieur Bossu's treatise of the epicke poem
Thomas Masterson his first booke of arithmeticke
A sermon, written by the late Samuel Jahnsen, L.L.D.,
for the funeral of his wife
Lucidario in musica di alcune oppenioni antiche,
et moderne con le loro oppositioni, & resolutioni
The opinion, judgement and determination of two
reverend, learned and conformable divines of the Church
of England, concerning bowing at the name, or naming of Jesus
Le premier volume de messire Jehae Froissart lequel traicte des
choses dignes de memoire aduenues tant es pays de France
M. William Shak-speare: his true chronicle histoire of the
life and death of King Lear and his three daughters
Elega[n]s libellus ac nu[n]c primu[m] impress'us
de p[rae]cellentia potestatis imp[er]atorie
M. Tullii Ciceronis De officiis libri tres
Scala spiritualium sa[n]cti Ioannis Climaci
Kempis Tamasnak Christvs követeserül nègy könyvei
Мысли Жан Жака Руссо о различных материях

1.1.2.7. როცა პუბლიკაცია შეიცავს ორ ან მეტ ცალკეულ ნაწარმოებს, რომელსაც გააჩნია საერთო სათაური, და სატიტულე გვერდზე ასევე მოთავსებულია ცალკეულ ნაწარმოებების სათაურები, მაშინ საერთო სათაური შეირჩევა როგორც ძირითადი. ის შეიძლება შეიცავდეს ცალკული ნაწარმოებების სათაურებს მხოლოდ თუ ისინი ენობრივად დაკავშირებულია ძირითად სათაურს. ცალკული ნაწარმოების სათაურები შეიძლება მოყვანილი იყოს სფერო 7-ში. მათი გამოტოვება ძირითად სათაურში აღინიშნება გამოტოვების ნიშნით.

მაგ.: The spinning wheel's garland, containing several excellent new songs...

შენიშვნა:სარჩევი რომელიც არის სატიტულე გვერდზე შემდეგია:

I.The good housewife's coat of arms. II. The spinning-wheel's glory. III The taylor disappointed of his bride. IV. The changeable world.

Zweij schöne neue geistliche Lieder ...

შენიშვნა:სარჩევი რომელიც არის სატიტულე გვერდზე შემდეგია:: Das erst, Van dem heiligen

Martyser Meynrado, Grafen von Sulgen. Das Ander, Von Maria der Allerseligesten Gebererin

1.1.2.8. ძირითადი სათაური შეიძლება შედგებოდეს საერთო სათაურისაგან, და დაქვემდებარებული სათაურისაგან, როცა განყოფილებას, დანართს, ნაწილს, და ა.შ. გააჩნია სათაური ან აღნიშვნა, რომლებიც არასაკმარისია მათი იდენტიფიკაციისათვის საერთო სათაურის ან მთავარი პუბლიკაციის სათაურის გარეშე.

მაგ.: Die Missionsgeschichte spätrter Zeiten, oder Gesammelte Briefe der katholischn Missionarc aus allen Theilen der Welt: ein wichtiger Beytrag zur Natur- Lander- und Völkcrkunde, vorzüglich abes zur chtistischen Erbauung. Der Briefe aus Ostindien erster Theil

1.1.2.9. ძირითადი სათაური შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ განყოფილების, დანართის, ნაწილის სათაურისაგან და ა.შ. თუ ეს სათაური დაკავშირებული არ არის ძირითად სათაურთან ან მთავარი პუბლიკაციის სათაურთან. საერთო სათაური აუცილებლობის შემთხვევაში მოიყვანება მე-6 სფეროში.

მაგ.: De puiterveense Helleveeg

მე-6 სფეროში (Toneelspeelen ; t. 6)

თუ საერთო სათაური ან მთავარი პუბლიკაციის სათაური ენობრივად დაკავშირებულია განყოფილების, დანართის, ნაწილისა და ა.შ. სათაურთან, მაშინ ძირითადი სათაური შედგება ორივე სათაურის გაერთიანებით შემდგარი წინადადებისაგან.

1.1.2.10. არ არსებობს ძირითადი სათაური პუბლიკაციისთვის, რომელშიც შედის ორი ან მეტი ცალკეული ნაწარმოები, მაგრამ აკლია საერთო სათაური. ამგვარი სათაურის გადაწერის შესახებ იხ. 1.1.4.2.1.

1.1.3. ძირითადი სათაურის შერჩევა

1.1.3.1. პუბლიკაცია ერთი სატიტულე ფურცლით

სატიტულე გვერდზე წარმოდგენილი პირველი სათაური ჩაინიშნება როგორც ძირითადი. ინფორმაცია, რომელიც მიმართებაშია სათაურთან და წარმოდგენილია სატიტულე გვერდზე სათაურამდე რომლითაც ჩვეულებრივ იდენტიფიცირებულია შრომა ჩაისმება ინვერსიის გარეშე აღწერილობის ძირითად სათაურში მიუხედავად ტიპოგრაფიული მინიშნებისა ამ ინფორმაციის დამხმარე ხასიათზე.

მაგ.: Que contineant duodecim eideos libri ... P Virgilij Maronis

Herafter foloweth a litel boke called Colyn Clonte

საღვთო მიმართვა, დევიზები, განცხადებები (ეპიგრამების და მიძღვნის ჩათვლით) არ შედიან, თუ მხოლოდ ისინი არ შეადგენენ სათაურს ან აზრობრივად თუ ტიპოგრაფიულად არ წარმოადგენს ძირითადი სათაურის ნაწილს.

მაგ.: Haubtschluessel der teutschen vnd italiaenischen Sprache

რედაქტორის კომენტარი: სათაურს წინ უძღვის მიმართვა A.M.A.D.

ინფორმაცია, როგორც არის ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ, ცნობა გამოცემის შესახებ, ცნობა სერიულობის შესახებ, ცნობა ბეჭდილობის შესახებ, თარიღი ან ფასი რომელიც შეიძლება იყოს სატიტულე ფურცლის თავში ან წინ უძღოდეს ძირითად სათაურს სატიტულე გვერდის შემცველზე და ენობრივად ძირითადი სათაურის ნაწილი არ არის, აღიწერება შესაბამის სფეროში (იხილე 1.5.4.6), და მისი ადგილი მე-7 სფეროში აღინიშნება.

1.1.3.2. პუბლიკაცია ერთზე მეტი სატიტულე ფურცლით

თუ პუბლიკაციას გააჩნია ერთზე მეტი სატიტულე გვერდი, როგორც ამას ადგილი აქვს მრავალენოვან ან მრავალშრიფტიან გამოცემების დროს პუბლიკაციის სატიტულე ფურცლით ყველა ენაზე ან შრიფტზე, მაშინ ძირითადი სათაური შეირჩევა სატიტულე ფურცლიდან იმ ენაზე და/ან შრიფტზე, რომელზედაც მოცემულია პუბლიკაციის ტექსტი.

როცა ეს კრიტერიუმი მიუღებელია, (პუბლიკაციაში არ შეიძლება გამოვყოთ რომელიმე ენის უპირატესობა ან ტექსტი პარალელურად მოიყვანება ორ ან მეტ ენაზე ან შრიფტზე), ძირითადი სათაური შეეირჩევა ორი ურთიეთმიმდებარე (ორპირიანი სატიტულე ფურცლის)სატიტულე გვერდის მარჯვენა მხრიდან (recto) ან ორი ან მეტი სატიტულე ფურცლების მარჯვენა პირველი გვერდებიდან, თუ კი პირველის გაუქმება ცხადი არ იყო. ტექსტური სატიტულე გვერდი უნდა ვამჯობინოთ კლიშეს.

ორმხრივი პუბლიკაციების შემთხვევაში, სადაც ტექსტი და სატიტულე ფურცლები მოცემულია ორ ან მეტ ენაზე და/ან შრიფტზე, ძირითადი სათაურის შერჩევა ხდება თანაბარი სტატუსით ბიბლიოგრაფიული სააგენტოების მიერ. (ორმხრივი პუბლიკაციის შესახებ, რომლებიც შეიცავენ სხვადასხვა ნაწარმოებებს, იხ. 0.5.1).

1.1.3.3 სათაურის ვარიანტები (გარდა პარალელური სათაურების იხ.1.3) რომლებიც არ იყვნენ შერჩეულნი როგორც ძირითადი სათაური, განიხილებიან როგორც სხვა ცნობები სათაურის შესახებ, თუ ისინი მითითებულნი არიან სატიტულე გვერდზე. თუ სათაურის ვარიანტები მითითებულია პუბლიკაციის სხვა ადგილებში, მაშინ ისინი განიხილებიან მე-7 სფეროში.

მაგ.: Hodoegus: Igazsagra vezerlo kalauz

Seculum Davidicum redivivum: the divine right of the re olution
scripturally and rationally evinced and applied

Editorial comment: The latin title is by typography clearly
s bsidiary to ihe English

Phiala sanctorum ... Modlitby nabo2ne ...

რედაქტორის შენიშვნა: მითითება ბიბლიაზე "Apocal.5" გამოტოვებულია

1.1.4 გადაწერა

1.1.4.1 ძირითადი სათაური გადაიწერება სატიტულე ფურცლიდან ფორმულირების ზუსტი დაცვით, მაგრამ მასში გამოყენებული დიდი ასოების ან პუნქტუაციის გარეშე, რომელიც არ არის აუცილებელი (იხ. აგრეთვე 0.4, 0.6, 0.7). გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს მეტად გრძელი ძირითადი სათაურის შემოკლება შუაში ან ბოლოში, თუ ამით არ იცვლება სათაურის აზრი, არ იკარგება ძირითადი ინფორმაცია და ადგილი არ ექნება გრამატიკული ფორმების დამახინჯებას. გამოტოვებები აღინიშნება გამოტოვების ნიშნებით.

მაგ.: Elements of mineralogy

A view of Sir Isaac Norm's philosophy

To Sir Richard Hill, Bart.
Abstract or an Act of Parliament, 27 George Zd, 1754.

I am a jolly huntsman
My voice is shrill and clear

შენიშვნა: The title is taken from the opening lines of the poem სათაური აღებულია პოემის გახსნილი სტრიქონებიდან

Sir, With submission, I have found out ways and means to add Cifty thousand pound per annum far ever to the Crown

Note: The litle is taken from the opening lines of the text Alexander Duke of Gordon, and his curalors, - appellants. James Earl of Moray, and William Earl of Fife[!], in the Kingdom of Ireland,- the respondents case

To the inhabitants of London and its environs. Awake! Arise! or be forever fall'n!

The following was, as nearly as we could collect, the words and circumstances attendant on the proposal for peace Unto the right honourable Ihc Lords of Council and Session, the petition of the Convenor and nine trades of Dundee

A briefe description of the whole worlde
Commentaires aux coustumes du duche de Bourhmnois, rapportees aux moeurs Ec obseruances des pays de Bourgongee, Berry, Auuergée, la Marche, Niuemois, & autres peu plus eslongnez

რედაქტორის შენიშვნა: სატიტულე გვერდი არ იძლევა დიაკრიტიკულ ნიშანს "duche" ან "rapportees" -ში

და პირველი ექვსი სიმბოლოსთვის აქვს დიდი V გადაწერილი როგორც u და პატარა u როგორც თანამედროვე v "Auvergae

და "Nivernois" ში.

Tarif provisionnel sur le prix de trois zones de pain, que doivcnt obiter les boulangers de la Ville de Lyon R Fauxbourgs d'icelle

I dieci libri di architenura

Varias antiguidades de Portugal

By the King, a proclamation for a general fast

Der verkannte Werth des saechsischen bergbanes und desselben gute Sache

Краткое руководство к красноречию

1.1.4.2 პუბლიკაცია ძირითადი სათაურის გარეშე

1.1.4.2.1 თუ პუბლიკაცია შეიცავს ორ ან მეტ ცალკეულ ნაწარმოებს ძირითადი სათაურის გარეშე (იხ. 1.1.2.10), მაშინ ცალკეული ნაწარმოებების სათაურების თანმიმდევრობა განისაზღვრება სატიტულე გვერდზე მოყვანილი თანამიმდევრობით ან კიდევ, რამოდენიმე სატიტულე ფურცლის თანამიმდევრული განლაგებით პუბლიკაციაში, თუ ისინი განიხილებიან როგორც ინფორმაციის ერთი წყარო. (იხ.13.4.3,1.4.4.4,1.5.4.13 ამგვარი შრომების პარალელური სათაურების, სათაურის სხვა ინფორმაციის, ალტერნატიული სათაურის და პასუხისმგებლობის ცნობის ჩასაწერად.)

მაგ.: The flouiry of philosophie; with The pleasures of poetrie annexed vnto them ...

The serving-man became a queen. Jockey of the green. Tbsp hss of Richmond Hill

Epistolarum D. Erasmi Roterodami libri XXXL et P.Melancthonis abri IV. Quibus adjiciuntur

T. Mori k laL Vivis epistola

რედაქტორის შენიშვნა: სატიტულე გვერდი იწყებს ახალ წინადადებას "Quibus"-თი
The humble petition of a beautiful young lady. The
Rvnd. Dr 8 = rk---y's answer to the young ladies petition

შენიშვნა:ორივე სათაური წარმოადგენს იგივე გვერდზე თავსათაურებს (caption titles)

როდესაც სატიტულე გვერდზე ნახსენები შრომების სათაურები აგრეთვე დამატებით გვხვდებიან პუბლიკაციაში გვერდებზე რომლებიც გვანან სატიტულე ფურცლებს ამ შრომების სათაურები აგრეთვე ჩაიწერება ზემოთ მიღებული პირობების მიხედვით ან ჩაიწერება მე-7 სფეროში.

მაგ.: Prima [-decima) egloga della bucolica di Virgilio / per B. Pulci dilatino in vulgare traducta. Elegia di Bernardo Pulci a Lorenzo de Medeci per lamorte di Cosimo; Bernardus Pulcius florentinus de obitu diue Simonette. Francisci de Arsochis senensis carmen bucolicum egloga prima [-iiii] incipit. Bucolica di Hieronymo Beniuiione fiorentino. Bucolica di Iacopo Florino

შენიშვნა: სათაურები აღებულია ფურცლებიდან a6, e6, f2 g1, h7, m4 verso

თუ ცალკეულ ნაწარმოებთა რაოდენობა ძალიან დიდია, მაშინ შეიძლება მოყვანილ იქნას პირველი სამი სათაური რომელსაც მოსდევს გამოტოვების ნიშნები. მთლიანი შინაარსი შეიძლება მოცემული იყოს მე-7 სფეროში.

მრავალტომიანი პუბლიკაციის შემთხვევაში როდესაც ტომის ნომერი შედის ძირითად სათაურში, ბოლო ტომის ნუმერაცია მოიცემა პირველის შემდეგ ჩასმული კვადრატულ ფრჩხილებში და წინ ტირეთი.

მაგ.: Quinti Horati Flacci epistolarum liber primus [-secundus]¶

გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც სატიტულე გვერდი და სხვა შრომების სათაურები არ გადმოსცემენ შრომების საერთო იდეას, ან პუბლიკაციაში ბევრი სათაურებია, იქმნება სათაური მთელი პუბლიკაციისათვის.

მაგ.: [A collection of Acts of Parliament enacted in 1732]

1.2. მასალის ზოგადი აღნიშვნა (ფაკულტატური ელემენტი)

1.2.1. მასალის ზოგადი აღნიშვნა მოცემულია აღწერილობის დასაწყისში, რათა მითითებულ იქნას მასალის კლასის საერთო ნიშნები, რომელთაც მიეკუთვნება პუბლიკაცია. მასალის ზოგადი აღნიშვნა უშუალოდ მოსდევს ძირითად სათაურს. ის მოცემულია იმ ენაზე და შრიფტზე, რომელიც შერჩეულია ბიბლიოგრაფიული სააგენტოების მიერ.

1.2.2 დაბეჭდილ ფორმაში მონოგრაფიებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას განსაზღვრება "დაბეჭდილი ტექსტი" ან მისი ექვივალენტი სხვა ენაზე ან შრიფტზე.

1.2.3 თუ პუბლიკაცია შეიცავს ძირითად დოკუმენტს და დამატებით მასალას, რომელიც არ მიეკუთვნება მასალის ზოგადი აღნიშვნის იმავე კატეგორიას (მაგ. დაბეჭდილი მონოგრაფია დაბეჭდილი რუქით), მაშინ მასალის ზოგადი აღნიშვნა ეხება მხოლოდ ძირითად დოკუმენტს.

1.2.4 თუ პუბლიკაცია შეიცავს ორ ან მეტ ცალკეულ ნაწარმოებს ძირითადი სათაურის გარეშე (იხ.1.1.2.10), მაშინ მასალის ზოგადი აღნიშვნა მოსდევს პირველ სათაურს.

1.3 პარალელური სათაურები

1.3.1 თუ პუბლიკაციის სატიტულე გვერდზე მოცემულია სათაური ერთზე მეტ ენაზე და/ან შრიფტზე, მაშინ სათაურები, რომლებიც არ წარმოადგენენ ძირითადს (იხ.1.1.3), ჩაიწერება როგორც პარალელური სათაურები.

1.3.2 პარალელურ სათაურებს, როგორც ძირითადი სათაურის ექვივალენტს, შეიძლება ჰქონდათ სხვადასხვა ფორმები (იხ.1.1.2). ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, სხვა ცნობა სათაურის შესახებ, ან პუბლიკაციასთან დაკავშირებული რაიმე ცნობა, და ა.შ. შეიძლება იყოს ენობრივად დაკავშირებული პარალელურ სათაურთან და აღიწეროს როგორც მისი ნაწილი.

მაგ.: 'Ivoīicouca θεοσιΑου 'Avcwcgaaanpoc = Institutiones iuris
ciuilis in graecam linguam per Theophilum Antecessorem olim
traductae ac fusissime planissimeque explicatell

= Nonni Panopolitae

Dionysiaca: nunc primum in lucem edita, ex bibliotheca

Ioannis Sambuci Pannonij

1.3.3 ორიგინალის სათაური სხვა ენაზე, ვიდრე ძირითადი სათაური განიხილება როგორც პარალელური სათაური, თუ ის მითითებულია სატიტულე გვერდზე და ენობრივად არ არის დაკავშირებული აღწერილობის სხვა ელემენტებთან. (მაგ: ალტერნატიული სათაური, იხ. 1.1; როგორც ნაწილი სხვა ცნობებისა სათაურის შესახებ იხ. 1.4; როგორც ნაწილი პასუხისმგებლობის შესახებ ცნობებისა იხ. 1.5; ან როგორც ნაწილი გამოცემის შესახებ ცნობებისა იხ. მე-2 სფეროში).

მაგ.:Alexandri Aphrodisiensis in Sophisticos Aristotelis elenchos commentaria

'Ake(hvbpou 'A\$pobiafeī» hxoaqpei6aexc ei< cobc oo\$iaīixobc

У, 4yyoug

ორიგინალის სათაური სხვა ენაზე, და არა ძირითადი სათაური, რომელიც არ არის მითითებული სატიტულე გვერდზე, შეიძლება მოყვანილი იქნას მე-7 სფეროში.

მაგ.:Leonardi aretini i[n] opusculu[m] magni Basilii de lege[n]dis poetis

prefatio incipit feliciter. Incipit libellus magni Basilii. Apologia [sic]

Socratis incipit.

შენიშვნა: ორიგინალური სათაურები: 1. IIPHq cobq vhouq hmi» Rv kf 'El,kqvmwv u\$ekoivrn Xhyiv 2. 'Amoloy(a Zixphrouc

თუ ორიგინალის სათაურის ენა ემთხვევა ძირითადი სათაურის ენას. იხ. 1.1.3.3.

1.3.4 გადაწერა

1.3.4.1 პარალელური სათაური გადაიწერება სატიტულე ფურცლიდან, მისი ფორმულირების ზუსტი დაცვით, მაგრამ, თუ აუცილებლობას არ წარმოადგენს, მაშინ არ ხდება დიდი ასოებისა და პუნქტუაციის დაცვა. გამონაკლისს შემთხვევაში, პარალელური სათაური შეიძლება იყოს შემოკლებული. გამოტოვებები აღინიშნებიან გამოტოვებების ნიშნებით.

მაგ.: . Iiepi Xi8iv = De lapidibus

1.3.4.2 თუ სატიტულე გვერდზე მითითებულია ერთზე მეტი პარალელური სათაური, მაშინ ისინი ჩაიწერებიან პოლიგრაფიული გაფორმების შესაბამისად, სატიტულე გვერდზე მისი თანამიმდევრობითი განლაგებით.

მაგ.: Joh. Amos Comenii Orbis sensualium pictus trilinguis, hoc est
Omnium fundamentalium in mundo rerum & in vita actionum
pictura et nomenclatura Latina, Germanica & Hungarica; cum
titulorum juxta atq[ue] vocabulorum indice = Die sichtbare Welt in
dreyen Sprachen, Das ist Aller Vornehmsten Welt-Dinge und
Lebens-Verrichtungen Vorbildung und Lateinische, Deutsche und
Vngarische Benamung; sampt einem Tittel- und Worter-Register =

A' Lãtható vilåg háromféle nyelven, az-az Minden derekassab ez vilågön lévõ dolgoknak és az életben való cselekedeteknek le-
ãbrãzolásã és Deãk, Német és Magyar megnevezése; A' fellyül való irãsoknak és szóknak laystromãval

1.3.4.3 პუბლიკაცია ძირითადი სათაურის გარეშე.

თუ პუბლიკაცია, რომელიც შეიცავს ორ ან მეტ ცალკეულ შრომას, ძირითადი სათაურის გარეშე, (იხ. 1.1.2.10), ხოლო თითოეულ ან ზოგიერთ ნაწარმოებს გააჩნიათ პარალელური სათაური, ან სათაურები, მაშინ ისინი მოსდევს იმ სათაურებს, რომელთაც ისინი მიეკუთვნებიან. როდესაც არის ერთი სატიტულე გვერდი მთელი პუბლიკაციისთვის, პარალელური სათაურები მოიცემა სატიტულე გვერდის ინფორმაციით მოცემული თანმიმდევრობით. როდესაც არ არსებობს მთელი პუბლიკაციის სატიტულე გვერდი, მაგრამ პუბლიკაციაში შესულ შრომებს გააჩნიათ საკუთარი სატიტულე ფურცლები ისინი ერთად განიხილებიან როგორც ინფორმაციის ერთადერთი წყარო, პარალელური სათაურები მოიცემა იმ რიგით, რომელსაც გვანიშნებს ყოველი ასეთი სატიტულე ფურცლის ინფორმაციის თანმიმდევრობა.

მაგ.: Thhe Eveoïav hv cybe icj j3ipky. Aouxahvou. 4xAooip&iou
(7K0VCg, ...TOG CVtOQ plDlKh, ... Biot oo\$tocuv. 4tXootphcou
veïikpou eixove». KaXkiocphcov hx\$phaeac = Que hoc
volumine continentur. Luciani opera. Icones Philostrati; eiusdem
Heroica; eiusdem uitae sophistarum. Icones iunioris Philostrati.
Descriptiones Callistrati

ნებისმიერი სხვა ინფორმაცია მიმართებაში მყოფი სათაურთან და ცნობასთან პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც შეიძლება იყოს ნაწარმოების სათაურსა და მის პარალელურ სათაურს, ან პარალელურ სათაურებს შორის, გადაიწერება რიგით, რომელსაც გვანიშნებს ყოველი ასეთი სატიტულე ფურცლის ინფორმაციის თანმიმდევრობა და წინ უძღვის სათანადო დაწესებული პუნქტუაცია.

e.g. Directio methodica processus iudiciarii iuris consuetudinarii
incltyi

Regni Hungariae / per M. Joannem Kithonich de Koztanicza ... =
Rovid igazgatas a' nemes Magyar Orszagnak es hoï tartoz*
Rbszeknek szokott t*rv■ny folyasïrol / mellyet dehkbol magyar
nyelvre forditott Kaszoni Janos

1.3.4.4 სატიტულე ფურცლებიდან აღებული პარალელური სათაურები, რომლებიც არ წარმოადგენენ ინფორმაციის დაწესებულ წყაროებს, შეიძლება მოცემულნი იყვნენ 1 ან მე-7 სფეროში კვადრატულ ფრჩხილებში. პუბლიკაციაში მითითებული პარალელური სათაურები, რომლებიც არ არია სატიტულე გვერდზე, მოიხსენებიან მხოლოდ მე-7 სფეროში.

1.4. სხვა ცნობები სათაურის შესახებ

1.4.1 სხვა ცნობები სათაურის შესახებ შეიძლება მითითებულნი იყვნენ პუბლიკაციის ძირითადი, პარალელური ან ცალკეული ნაწარმოებების სათაურებთან ერთად ან მასთან დაქვემდებარებაში.

1.4.2 სხვა ცნობები სათაურის შესახებ შეიძლება შეიცავდნენ ცნობებს პასუხისმგებლობის შესახებ, ცნობებს, რომლებიც ეხება პუბლიკაციას ან მის გავრცელებას, ან აღწერილობის სხვა ელემენტს (მაგ.: ცნობები გამოცემის შესახებ) თუ ეს ცნობები ენობრივად დაკავშირებულია სხვა ცნობებთან სათაურის შესახებ. სატიტულე ფურცლის ინფორმაციის თანმიმდევრობის

მიხედვით ინფორმაციის ჩაწერა შეიძლება აგრეთვე (მთავრდებოდეს) იყოს ალტერნატიული სათაური ან დამატებითი დეტალები ან სხვა დამატებითი მასალა (იხილეთ აგრეთვე 1.5.3.3) მოცემული როგორც სხვა ცნობები სათაურის შესახებ.

მაგ.: . Les pommes de terre, consid6r6es relativement h la sant6 & h l'dconomie:
ouvrage dans lequel on traite aussi du froment & du riz
Discours sur la n6cessit6 de l'dtude de l'architecture: dans lequel on essaye de prouver combien il est important pour le progrks des arts que les hommes en place en acquibrent les connoissances blhmentaires
An exposition vpon the Prophet Ionah: contained in certain sermons, preached in S. Maries Church in Oxford
The maid's tragedy altered: with some other pieces by Edmund Waller, Esq., not before printed in the several editions of his poems
Собрание писем Абельярда и Элоизы : с привосокуплением описания жизни сих несчастных любовников / перевел с французского Александр Дмитриев
Johann Gottfried Jugels Entdeckung der verborgenen Schatzkammer der Natur ...: nebst einem Anhang ...
Chemische Erfahrungen bey meinem und andern Fabriken in Deutschland : nebst einem Anhang besonderer chemischer Geheimnisse / von J.A. Weber
Th6atre de Pierre Corneille: avec des commentaires et autres morceaux int6ressans

1.4.3 ძირითადი სათაურის სრული ფორმა, რომელიც შედგება ინიციალების ერთობლიობისაგან ან აქრონიმებისაგან, განიხილება როგორც სხვა ცნობები სათაურის შესახებ, თუ სრული ფორმა მოცემულია სატიტულე გვერდზე.

1.4.4 გადაწერა

1.4.4.1 სხვა ცნობები სათაურის შესახებ გადაიწერება რიგით, რომელსაც გვანიშნებს სატიტულე ფურცლის ინფორმაციის თანამიმდევრობა. ისეთი სათაურის ინფორმაციის გადაწერისთვის, რომელსაც წინ უძღვის გამორჩეულ სათაურს სატიტულე გვერდზე იხილეთ 1.1.3.1.

1.4.4.2 სხვა ცნობები სათაურის შესახებ გადაიწერებიან ისევე, როგორც მოცემულია პუბლიკაციაში, დიდი ასოებისა და პუნქტუაციის გარეშე, თუ ისინი არ წარმოადგენენ აუცილებლობას. სხვა ცნობები სათაურის შესახებ გამონაკლისის სახით, შეიძლება შემოკლდეს. სიტყვების გამოტოვება აღინიშნება გამოტოვების ნიშნებით.

1.4.4.3 სათაურის ალტერნატიული ფორმა რომელიც იწყება სათაურის შესახებ სხვა ცნობების შემდეგ, განიხილება როგორც სხვა ცნობები სათაურის შესახებ.

მაგ.: A Christian funeral: a brief essay on that case, what should be the behaviour of a Christian at a funeral?: or, Some directions how to regulate a funeral by the rules of religion

Весна : поэма г.Клейста : или изображение приятностей сего времени года с выводимыми из оных важными размышлениями

1.4.4.4 პუბლიკაცია ძირითადი სათაურის გერმე

1.4.4.4.1 როდესაც პუბლიკაციას არ გააჩნია ძირითადი სათაური(იხილეთ 1.1.2.10), და როდესაც სხვა ცნობები სათაურის შესახებ მიმართებაშია წარმოდგენილ ერთ ან მეტი ნაწარმოების სათაურებთან, ისინი მოიცემა რიგით, რომელსაც გვანიშნებს სატიტულე ფურცლის ინფორმაციის თანამიმდევრობა. გამოიყენება მაშინაც, თუ სხვა ცნობები სათაურის შესახებ მიმართებაშია ერთზე მეტ შრომასთან.

მაგ.: Les Akanqas: prologue mblo-dramatique, en un acte et en prose; suivi Des Espagnols dans la Floride: pantomime en trois actes et h spectacle
Vortigern: an historical tragedy, in five acts ...; and Henry the Second: an historical drama

1.4.4.4.2 როდესაც მიმართება წინადადებას, რომელიც შეადგენს სხვა ცნობებს სათაურის შესახებ და ცალკეული შრომების სათაურებს შორის არ არის ნათელი მოკლე განმარტებითი სიტყვები დამატებული შეიძლება იყოს კვადრატულ ფრჩხილებში. შესაძლებელია სხვა ცნობები სათაურის შესახებ მოცემული იყოს მე-7 სფეროში.

1.4.4.5. პარალელური სათაური და პარალელური სხვა ცნობები სათაურის შესახებ

1.4.4.5.1. როდესაც სატიტულე გვერდი მატარებელია ერთი ან მეტი პარალელური სათაურის და სხვა ცნობებისა სათაურის შესახებ ერთ ან მეტ ენაზე და|ან დამწერლობაზე, ყოველი ცნობა გადაიწერება რიგით, რომელსაც გვანიშნებს ყოველი ასეთი სატიტულე ფურცლის ინფორმაციის თანამიმდევრობა.

მაგ.: Il fanatico burlato: dramma giocoso in due atti ... =
L'entich6 de noblesse dupb: opera bouffon en deux actes
IIept Xtiv = De lapidibus: poema Orpheo a quibusdam

1.4.4.5.2. როდესაც პარალელური სათაური აერთიანებს თავის თავში ძირითად სათაურს და სხვა ცნობებს სათაურის შესახებ დაწერილ ძირითადი სათაურის ენაზე, სხვა ცნობები სათაურის შესახებ მოიცემა რიგით, რომელსაც გვანიშნებს სატიტულე ფურცლის ინფორმაციის თანამიმდევრობა.

მაგ.: Hauptschluessel der teutschen vnd italiaenischen Sprache, dass ist, Vollstaendiges Wortbuch aller teutschen vnd italiaenischen Stamm = La chiave maestra della lingua todescha & italiana

1.4.4.5.3. როდესაც არ არის პარალელური სათაური, სხვა ცნობები სათაურის შესახებ წარმოჩენილია სატიტულე სატიტულე გვერდზე ერთზე მეტ ენაზე და|ან შრიფტზე, სხვა ცნობები სათაურის შესახებ ჩაიწერება რიგით, რომელსაც გვანიშნებს სატიტულე ფურცლის ინფორმაციის თანამიმდევრობა. პირველი წინადადება სხვა ცნობებისა სათაურის შესახებ მოცემულია. პარალელური სხვა ცნობები სათაურის შესახებ შესაძლებელია იყოს მოცემული, ყოველი მათგანის წინ იყოს ხარვეზი, ტოლობის ნიშანი, ხარვეზი.

1.4.4.6 როდესაც ძირითადი სათაური შედგება საერთო და დაქვემდებარებული სათაურებისაგან (იხილნ 1.1.2.8), ცალკეული ცნობები სხვა ცნობებისა სათაურის შესახებ მოიცემა რიგით, რომელსაც გვანიშნებს სატიტულე ფურცლის ინფორმაციის თანამიმდევრობა.

1.4.5. გამოცემაში და არა სატიტულე გვერდზე მითითებული სხვა ცნობები სათაურის შესახებ, შეიძლება მოცემული იყოს ძირითადი ან პარალელური სათაურის შემდეგ, რომელთაც ისინი მიეკუთვნებიან კვადრატულ ფრჩხილებში, თუ ეს აუცილებელია პუბლიკაციის იდენტიფიკაციისათვის ან აღწერილობის განმარტებისთვის. ჩვეულებრივ ესეთი ცნობები მითითებულია მე-7 სფეროში.

1.5. ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ

1.5.1. ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, შეიძლება ეხებოდეს ნებისმიერ პირს ან კოლექტივს, რომელიც პასუხისმგებელია პუბლიკაციაში მოთავსებული ნაწარმოების ინტელექტუალურ და მხატვრულ შინაარსზე. ისინი შეიძლება ასევე ეკუთვნოდნენ ნებისმიერ პირს ან კოლექტივს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ნაშრომის შესრულებაში.

1.5.2. ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ შეიძლება ეკუთვნოდნენ ისეთ პირებს, როგორებიც არიან: მწერლები, მხატვრები, და სხვ. რომელთა შრომა გამოცემაში ჩართულია პირდაპირ (მაგ.: ტექსტის ავტორი, რედაქტორი, შემდგენელი, მთარგმნელი, ილუსტრატორი, გრავერი), ან არაპირდაპირ (მაგ.: უკვე არსებული ნაშრომის (მიმსადაგებლები) ადაპტერები, როგორც იმ მასალაზე, რომელშიც შექმნილია ორიგინალი, ასევე სხვა მასალაზე.

ორგანიზაციები (კოლექტივები) ან სხვა პირები, რომლებიც სპონსორობას გაუწევენ ზემოთაღნიშნულ ნებისმიერ პირებს.

ცნობებს პასუხისმგებლობის შესახებ შეუძლიათ მიიღონ სხვადასხვა ფორმები:

1.5.2.1. ისინი შეიძლება შედგებოდნენ პირთა გვარისაგან ან კოლექტივების დასახელებისაგან დამაკავშირებელი სიტყვის ან მოკლე ფრაზის გარეშე, ან მათთან ერთად რომელნიც განსაზღვრავენ პირთა ან კოლექტივთა როლს (იხ. ასევე 1.5.2.6).

მაგ.: e.g. Comus: a mask / John Milton

1.5.2.2. ისინი შეიძლება შედგებოდნენ ფრაზებისაგან, პირთა გვარების მითითების გარეშე, თუ ასეთი ფრაზა ახასიათებს ინტელექტუალურ ან სხვაგვარ წვლილს ნაწარმოების შექმნაში ან მნიშვნელოვანია სხვა მხრივ.

მაგ.: / embellished with cuts, and illustrated with notes and maxims - historical, philosophical and critical

The following of Christ / translated out of Latin into English, newlie corrected and amended

A parallel of the antient architecture with the modern ... / written in French by Roland Freart, sieur de Chambray; made English for the benefit of builders

Истинный способ укрепления городов /изданный от славного инженера Вобана на французском языке ; ныне же преложен с французскаго на российский язык

1.5.2.3. ის შეიძლება შეიცავდეს არსებით სახელს ან ფრაზას, ასევე გვარებს, პიროვნების გვართან, თუ კი ეს ფრაზა მიუთითებს პიროვნების ან კოლექტიური ავტორის როლზე.

მაგ: Paradise Lost: a poem in twelve books / the author John Milton
/ opera del P. Ardelio della Bella
сочинение Михайла Ломоносова
трусами... Федора Ивановича Соймонова

დანარჩენი არსებითი სახელები ან არსებით სახელიანი ფრაზები ჩვეულებრივ განიხილებიან როგორც სხვა ცნობები სათაურის შესახებ (იხ. 1.4).

